8 (05)
ბ-35



საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის ყოველთვიური
სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

მომავალი

№ 1

მაისი, 1920 წელი

ტფილისი
სტამბა ვ. ა. ოუხაძისა, გაბაშვილის შესახვევ
1920

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მომავალი“

რთულია ცხოვრება და გაუგებარი. ადამიანის ინტელექტი ვერ ურიგდება ცხოვრების გაუგებრობას, ცდილობს მის გარკვევა-ნათელყოფას; მისწრაფის ცხოვრების შემეცნებისაკენ—ჰქმნის მეცნიერებას. მრავალფერადი ცხოვრების ამხსნელი რთული და მრავალ-ფერადი მეცნიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ ღებულობს გარკვეულ სახეს და რომ ის, ადამიანისათვის ადვილად გასაგებ ფორმაში ჩამოყალიბდეს, ადვილად შეითვისოს ადამიანმა, განსაკუთრებული ორგანიზაციის ინტენსიური, ნაყოფიერი შრომაა საჭირო. ასეთ ორგანიზაციად თანამედროვე კულტურას მიჩნეული აქვს უნივერსიტეტი; ის, როგორც მეცნიერების ტაძარი, დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელია ადამიანის აზროვნების განვითარებისათვის.

უნივერსიტეტის მიზანი ცხოვრების ნათელყოფა და მეცნიერული კვლევა-ძიებაა, ამიტომ ეტრფის მას ყოველი მოაზროვნე ადამიანი, მოაზროვნე ერი. გრძნობდა უნივერსიტეტის საჭიროებას, ეტრფოდა უნივერსიტეტს სულით ძლიერი, ლაღი ბუნების შვილი კვლევა-ძიების, მეცნიერების მოყვარული ქართველი ერი; ატარებდა სულის სიღრმეში უნივერსიტეტის იდეას, მაგრამ სუსხიანი რუსეთის მონა, ამ ბრწყინვალე, ფარმტაცი იდეის განხორციელებას ვერ მოესწრებოდა...

მაგრამ დედა-მიწის ბუერთი წაღმა მოტრიალდა, დაინარცხა ძველი სამყარო, ამოვიდა ახალი მზე, ცხოველი სხივების წნული სალტე მოხვია ქართულ სულს, გაანთავისუფლა იგი და სამშობლო ბუნების წიაღს დაუბრუნა. თავისუფლად ამოის-უნთქა ქართველმა ერმა, ზღვა-სიხარულით, ზღვა-მეღლით აივსო, გაბედულად შეწდგა ფეხი ბრწყინვალე მომავლისაკენ. ამართული მაღალ კიბურის პირველ საფეხურზე—გახსნა ქართული უნივერსიტეტი; საქართველო განახლების, აღორძინების გზას დაადგა; დღეს ის დემოკრატიული ქვეყანაა, დიდი და სუსხიანი ზამთრის შემდეგ ახლად გაფურჩქნული, ამობიკრებულ ოკეანეში განმარტოებულ კუნძულად ქცეული, ბევრ დაბრკოლებას, ძლიერ ჭარტეხილს მოელის, მაგრამ იმედს არ ჰკარგავს, თავისუფლებით ლაღობს, შემოქმედებას ეწევა. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს, ერის ორიგინალური სულის საგანძურს მეცნიერების შუქი უნდა მოეფინოს—ეროვნულ-მა უნივერსიტეტმა არ უნდა მოაკლოს მეცნიერებს ცხოველ-მყოფელი სხივები საქართველოს არც ერთ კუთხეს, არც ერთ ქართველს.

ქართული უნივერსიტეტი ქართველი ახალგაზდობის—სტუდენტობის, მომავალი საქართველოს აკვანია. ახალგაზრდობა—სტუდენტობა ახალ მიმართულებათა ძიების, შემოქმედების, სულის აღორძინება—აყვავება—მომწიფების საფეხურია, ის სიცოცხლის გაზაფხულია. ხალისით, სიყვა-

რულით, სასიცოცხლო ენერგიით მდიდარი ახალგაზრდობა უნივერსიტეტში უნდა ადიუურვოს მეცნიერებისადმი სიყვარულით, გახდეს ნამდვილი სალი მოაზროვნე ურყევი ,მტკიცე რწმენით დაადგეს სწორ უტყუარ გზას და გახდეს ერის ხელმძღვანელი, ერის იმედი. ახალგაზრდობა მომავალი საზოგადოებაა, ის მომავლისაკენ იყურება, მომავლისათვის ემზადება, ამიტომ მარტო მეხსიერების მუშაობა, ცოდნის მხოლოდ მეხსიერებით აკრეფა მომაკვდინებელია მისთვის; ახალგაზრდობა მოძრაობით, თვითაზროვნებით, შემოქმედებით სკოცხლობს.

ჟურნალი „მომავალი“ ის ორგანოა, რომელშიც უნდა აისახოს სტუდენტების სულიერი ბუნება, სულის მოძრაობანი.

ამიტომ დარაზმვა სტუდენტობისა მეცნიერულ შემოქმედობისთვის, ქეშმარიტების, სიკეთის, სიმშვენიერის ძიება, ნაშრომ-ნაზრევის დაგროვება და გადაშლა საზოგადოების წინაშე, მშობელ ერთან სიყვარულით გამთბარ კავშირით შეერთება, მისი ყურადღების დამსახურება, მეცნიერების მხოლოდ მეხსიერებით პასიურად აკრეფის წინააღმდეგ ბრძოლა, კვლევა-ძიებაში გამოჭედილ აზრის პატივისცემა, თავისუფალი შემოქმედება,—აი, ცხოველ-მყოფელი და მიმზიდველი მიზანი, რომელსაც უსახავს „მომავალი“ სტუდენტობას.

სტუდენტობის თანამშრომლობით, საზოგადოების თანაგრძნობით იმედოვნებს „მომავალი“ ამ წმიდა მიზნების მიღწევას.

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი*)

დაიბადა 1876 წელს. მამა მისი, აწ განსვენებული, ალექსანდრე ივანეს ძე, არის ცნობილი თავის მოღვაწეობით სამოსწავლო ასპარეზზე და აგრეთვე როგორც ავტორი ქართველოლოგიური ხასიათის ზოგიერთი წერილებისა, დაბეჭდილი კავკასიის ყოფილ სასწავლო ოლქის კრებულის „Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа“-ს მე-II-ე ტომში. საშუალო სწავლა-განათლება მიიღო ტფილისის *I* გიმნაზიაში, რომელიც გაათავა 1895 წელს. იმავე წელს შევიდა პეტრესქალაქის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც ისმენდა ლექციებს, განსაკუთრებით სომხურ-ქართულ ფილოლოგიის დარგში და სადაც, სხვათა შორის, სრულიად გაიარა ცნობილი არმენო და ქართველოლოგის, პროფესორის ნიკო მარრის სამეცნიერო სკოლა. გაათავა რა უნივერსიტეტი, 1899 წლიდან დატოვებულ იქმნა იმავე ფაკულტეტის სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრასთან პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1900 წელს გაგზავნილ იქმნა ბერლინში, სადაც ისმენდა ლექციებს იქაურ უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების და საღვთის-მეტყველო ფაკულტეტებზე და, სხვათა შორის, მუშაობდა ცნობილი თეოლოგის, პროფესორის ადოლფ

*) შედგენილია ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი ივ ა. ჯავახიშვილი
(ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი)

პარნაკის სემინარიუმში. ამ სემინარიუმის ნაყოფი გახლავს, სხვათა შორის, მისი გამოკვლევა ევსთათე მცხეთელის მარტვილობის შესახებ გერმანულ ენაზე. 1902 წელს, თავის მასწავლებელს და ხელმძღვანელ პროფ. ნ. მარრთან ერთად, იმგზავრა სინას მთაზე, სადაც (წმ. ეკატერინეს მონასტერში) აღმოაჩინა მრავალი საყურადღებო და უშესანიშნავესი ძეგლი ძველ-ქართული მწერლობისა, რომელიც დაამზადა დასაბეჭდათ (ამის შესახებ ჯერ-ჯერობით იხ. Н. Марръ, Предварительный отчетъ о работахъ на Синаѣ, веденыхъ въ сотрудничествѣ И. А. Джаваховымъ, и въ Ерусалимѣ, въ поѣздку 1902 г. — „Сообщенія И. Православнаго Палетинскаго О-ва", т. XIV, ч., 2, Спб. 1903). სამაგისტრო ზეპირი გამოცდების ჩაბარების შემდგომ, 1905 წელს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს წარუდგინა დისერტაცია სათაურით: Государственный строй древней Грузіи и древней Арменіи, т. I (Спб. 1905) და დაჯილდოვებულ იქმნა ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხით; დისერტაციის დაცვის დროს ერთ-ერთ (პირველ) ოფიციალურ ოპონენტათ იყო პროფ. ნ. მარრი, რომლის რეცენზიაც ამის შესახებ დაიბეჭდა Журналъ Министерства Народнаго Просвѣщенія-ში (1908 г., май). 1906 წლიდან მოწვეულ იყო ხსენებულ ფაკულტეტზე პრივატ-დოცენტათ, რომელ თანამდებობაზედაც იმყოფებოდა 1917 წლამდე, ე. ი. საქართველოში ჩამოსვლამდე. პეტრესბურგში ყოფნის დროს, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა რუსული საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლურ განყოფილებაში, სადაც კითხულობდა მოხსენებებს; იყო თავმჯდომარეთ პეტრესბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრისა. გარდა ამისა ზამთრის და ზაფხულის ვაკაციების დროს ტფილისში კითხულობდა საჯაარო ლექციებს სხვა-და-სხვა საკითხების შესახებ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოწვევით და აგრეთვე სისტემატიურ ლექციებს საქართველოს ისტორიიდან მასწავლებელთათვის დაარსებულ სასაფხულო დროებითი კურსებზე (1918 წელს). პეტრესბურგის უნივერსიტეტში სხვა-და-სხვა დროს კითხულობდა ლექციებს და აწარმოებდა პრაქტიკულ მუშაობას (სემინარიუმს) შემდეგ საზოგადო და სპეციალურ საგნებში: საქართველოს ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქალაქ ანისის ისტორია, ქართული ენა, ქართველოლოგიის შესავალი, ქართული ეპიგრაფიკა, ქართული პალეოგრაფია და სხვა. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ დადგა სათავეში იმ პატარა ჯგუფისა, რომლის თაოსნობითაც 1918 წლის იანვრის 26 (თებერვლის 8)-დან დაარსდა ტფილისში ქართული უნივერსიტეტი—პირველ ხანებში ცნობილი კერძო უნივერსიტეტად და მერე-კი (იმავე წლის შემოდგომიდან) აღიარებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად. ქართულ უნივერსიტეტში მისი არსებობის პირველი დღიდანვე უჭირავს საქართველოს ისტორიის კათედრა და, იმავე დროს, თავიდანვე არჩეული იყო სიბრძნის მეტყველების (ისტორიულ-ფილოლოგიურ) ფაკულტეტის დეკანად; ხოლო 1920 წლის დამდეგს არჩეულ იქმნა უნივერსიტეტის რექტორად.

ნ ა შ რ ო მ თ ა ს ი ა*).

(1897—1920).

— Мундрость Балавара.—„Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, т. IX, в 1—4 (1897—1898).

— საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები: მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონი.—„მოამბე“ 1900 წ. № IV, და ცალკე—ტფილისი 1900.

— ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში.—ibidem 1900 წ. №№ V და XI, და ცალკე—ტფილისი 1990.

— Проповѣдническая дѣятельность св. Нины и апостола Андрея.—„Журналъ Министерства Народнаго Просвѣщенія“ 1901 г. январь.

— ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში.—„მოამბე“ 1901 წ. № IV, და ცალკე, ტფილისი 1901.

— Народныя переписи въ Грузіи.—Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“ т. XIV, в. I (1902) და ცალკე—Спб. 1901.

— Das Martyrum des heiligen Eustathius von Mzcheta.—„Jahreslerichte d. König Preus. Akademie d. Wissenchalten“ XXXVIII (1902)

— მამულიშვილობა და მეცნიერება.—„ცნობის ფურცელი“ 1904 წ. №№ 2453, 2457, 2460, 2665—2667, და ცალკე გადმობეჭდილი—ტფილისი 1904.

— Грузія (ბიბლიოგრაფიული წერილები).—„Византійскій Временникъ“ (изд. при И. Академіи Наук), т. XI, в 1—2 (1904).

— Грузія (ბიბლიოგრაფიული წერილები).—ibid., т. XI, в. 3—4 (1904).

— საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია.—„ცნობის ფურცელი“ 1905 წ. №№ 2856, 2859—2860, 2862, 2866, და ცალკე გადმობეჭდილი—ტფილისი 1905.

— Государственный строй древней Грузіи и древней Арменіи, т. I („Тексты и Разысканія по армяно-грузинской филологіи“, изд. фак. вост. яз. Спб. университета, кн. VIII), Спб. 1905.

— Политическое и соціальное движеніе въ Грузіи въ XIX в. (изд. книгоиздательства „Сакартвело“). Спб. 1906.

— Грузія (ბიბლიოგრაფიული წერილები).—„Виз. Временникъ“, т. XII, в. 1—4 (1906).

— კულტურის ისტორია საქართველოში (ლექცია).—„ისარი“ 1907 წ. №№ 138 და 139.

— საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი. ტფილისი 1907.

— Автокефалія —„Политическая энциклопедія“ подъ ред. Я. З. Слонимскаго, т. I, Спб. 1907.

---

*) სიაში არ არის შეტანილი ზოგიერთი შემთხვევითი ხასიათის წერილები, დაბეჭდილი გაზეთებში: „ცნობის-ფურცელი“, „სახალხო-გაზეთი“ და სხვა.

— საისტორიო მასალები. პასუხი მ. ჯანაშვილს. — „საქართველო“ 1908 წ. № 10.

— რეფერატი („საქართველოს ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ შეხედულების განვითარება მე-8—12 საუკუნეთა განმავლობაში“). — „ამირანი“ 1908 წ. № 86.

— Исторія церковнаго разрыва между Грузіей и Арменіей въ началѣ VII вѣка. — „Извѣстія И. Академіи Наукъ 1908 г., стр. 433—446, 511—536.

— Обзоръ теорій и литературы о происхожденіи грузинскаго языка. — „Ж. М. Н. П.“ 1908 г., августъ.

— ქართველ ერის ისტორია. წიგნი პირველი (ს. ი. თუმანიშვილის გამოცემა), ტფილისი 1908.

— კონსპექტი ლექციისა „ქართული სამართლის ისტორია“ (ორი ლექცია 27 და 28 მაისს 1909 წ.), ტფილისი 1909.

— ქართული სამართლის ისტორია. — „ერი“ 1909 წ. № 2; „ჩვენი ერი“ 1909 წ. №№ 1 და 2; „საქართველოს მოამბე“ 1909 წ. №№ 1, 2 და 3.

Матеріалы по исторіи грузинской патристической литературы. „Христ. Востокъ“ (изд. И. Акад. Наукъ), т. I (912), в. 1.

— Рецензія: (Е. Такайшвили), Матеріалы по археологіи Кавказа etc, XII вып. — ibid.

— Рецензія Е. А. Пахомовъ. Монеты Грузіи ч. I — ibid.

— Къ вопросу о времени построенія грузинскаго храма въ Атенѣ по вновь обслѣдованнымъ эпиграфическимъ памятникамъ. — ibid., т. I., в. 3.

— ქართველ ერის ისტორია. წიგნი პირველი და მეორე (დამატება „სახალხო გაზეთი“-სა), ტფილისი 1913.

— Слово св. Іоанна Златоуста „о врожденномъ предопредѣленномъ добрѣ и злѣ“ въ древнегрузинскомъ переводѣ. — „Христ. Востокъ“. т. II (1913) в. 3.

— Грузія (исторія) — „Энциклопедическій Словарь“ изд. т-ва бр. Гранатъ, т. XVII (Спб. 1913).

— Грузинское право. — ibid.

— Грузинскій языкъ. — ibid.

— Грузинская литература I. Древн. період. — ibid.

— Термины искусствъ и главнѣйшія свѣдѣнія о памятникахъ искусствъ и матеріальной культуры въ древне-грузинской литературѣ. — „Христ. Востокъ“, т. III (1914), в. 1.

— ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს. ს.), ტფილისი 1916.

— О знакахъ препинанія при изданіи древне-грузинскихъ текстовъ („Пособія для работъ по армяно грузинской филологіи“ III), Петроградъ 1916.

— Объ одномъ анонимномъ грузинскомъ историкѣ XIV вѣка— „Извѣстія Р. Академіи Наукъ“ 1917 г. стр. 1483—1486.

— ქართველი ერის მოკლე ისტორია. წიგნი პირველი. უძველეს დროიდგან I ს-მდე ქ. შ. („განათლების“ ამხ. გამოცემა), ქუთაისი 1918.

— ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII ს. ს.— „პრომეთე“ 1918 წ. № 1.

— ქართული სამართლის ისტორია. წიგნი I. თ. მთავრიშვილის ამხ. გამოცემა), ქუთაისი 191».

— საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული (წერაკითხვის გამავრც. საზოგ. გამოცემა), ტფილისი 1919.

— დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII ს საკუნეში (ქართული კლუბის გამოცემა), ტფილისი 1919.

* * *

გარდა მაგისა,

— მონაწილეობა მიუღია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ და † იოსებ ყიფშიძის რედაქტორობით გამოცემულ „ქართული ბიბლიოგრაფიაში“ 1848—1910), რომელშიაც შეტანილია მის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფი გაზ. „ივერიისა“ 1886—1896 წ.წ.

— მისი რედაქციით და წინასიტყვაობით (გვ. I—VII) გამოცემულია პეტრესქალაქის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული—ტფილისი 1915.

აკაკი შანიძე

(Curriculum vitae).

აკაკი გაბრიელის ძე შანიძე დაიბადა 1889 წელს სოფ. ნოღას (გურიაში), სოფლის მედავითნის სახლში. კითხვა პირველად შინ ისწავლა და შემდეგ მიბარებულ იქმნა სოფლის სკოლაში. სკოლის გათავების შემდეგ შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის გათავების შემდეგაც (1904 წ.) გადავიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მიღებულ იქმნა მესამე კლას'ში. მეხუთე კლასის დასრულების შემდეგ (1907 წ.) ზაფხულში მოემზადა, მეექვსე კლასი გამოსტოვა და პირდაპირ მეშვიდეში დაიჭირა გამოცდები. მერვე კლასში ყოფნის დროს კინაღამ დათხოვნილ იქმნა გიმნაზიიდან აკაკი წერეთლის ორმოცდაათი წლის იუბილეუმზე სიტყვის წარმოთქმის გამო. გიმნაზიის ვერცხლის მედლით დასრულების შემდეგ (1909 წ.) შევიდა პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე და ჩაეწერა ქართულ-სომხური ფილოლოგიის დარგზე. აქ იგი ლექციებს უსმენდა პროფ. ნიკო მარრს (ქართულ-სომხური ფილოლოგიის საგნებში) პრივატ-დოცენტს ივანე ჯავახიშვილს (საქართველოს ისტორია), პრივატ-დოც. ნიკოლოზ ადონცს (სომხური ისტორია, ახალი სომხური ენა), პროფ. ვალენტინე ეუკოვსკის (სპარსული ენა), პრივატ-დოც. ალექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი აკ. გ. შანიძე

(ქართული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოპოვების გამო)

სანდრე შმიდტს (ძველი არაბული ენა), პროფ. ნიკოლოზ მედნიკოვს (ახალი მწერლობის ისტორია), პრ.-დოც. ივლიანე კრაჩკოვსკის (არაბული საქრისტიანოს მწერლობის ისტორია), პრ.-დოც. ანტონ ხაშაბს (ახალი არაბული ენა), პროფ. პავლე კოკოვცევს (ებრაული და ასურული ენა), პროფ. ვასილ ბართოლდს (აღმოსავლეთის ისტორია), პროფ. ივანე ბოდუენ-დი-კურტენეს (ენათ-მეცნიერება), პრივატ-დოც. ლ. შჩერბას (საექსპერიმენტო ფონეტიკა) და სხვებს.

სტუდენტად ყოფნის დროს პირველი ზაფხული (1910 წ.) გაატარა ქ. კენიგსბერგში (Königsberg i. P.) გერმანული ენის შესასწავლად, ხოლო მეორე ზაფხულს (1913 წ.) ფაკულტეტის მიერ გამოგზავნილ იქმნა ფშავსა და ხევსურეთში კილოების შესასწავლად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1913 წ.) დატოვებულ იქმნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრასთან და რუსეთის სამეცნიერო აკადემიის დავალებით კვლავ გამოგზავნილ იქმნა დუშეთისა და თიანეთის მაზრაში ქართული მთის კილოების გამოსაკვლევად, რასაც ერთი ზაფხული მოანდომა და შეკრიბა საამისო მასალები. 1914 წ. ზაფხულში უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილ იქმნა ეჩმიაძინში სომხურ ხელნაწერებზე სამუშაოდ („ქებათა-ქების“ ქართულ-სომხური ვერსიების წარმოშობის ისტორიის გამოსარკვევად) მაგრამ ეჩმიაძინში ავად გახდა (იქაური აუტანელი ზაფხულის ჰავის გამო) და გუმბრში (ალექსანდროპოლში) გადმოვიდა, სადაც გამოკეთდა თუ არა, სომხური ენის პრაკტიკულად შესწავლას მოჰკიდა ხელი. იმავე ზაფხულს ქიზიყში იყო ორჯელ: 23/V—4VI და 25/VIII—1/IX და ქიზიყურ კილოს სწავლობდა. 1915 წელს ჩაბარა ზეპირი სამაგისტრო გამოცდები ქართული ენათმეცნიერების სპეციალურ დარგში და შეუდგა პეტერბურგის საჯარო სამკითხველოს ქართული ხელნაწერების აღწერას. 1916 წ. ზაფხულში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით ორი კვირით სამეგრელოში იყო სამეცნიერო მიზნით და ორი კვირით აგრეთვე ზემო რაჭის სოფლებში: ღებსა და გლოლაში, სადაც სადიალექტოლოგიო მასალებს ჰკრებდა. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ დაბრუნდა ტფილისში და ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში იღებდა მონაწილეობას. მასწავლებლადაც იყო ქართულ გიმნაზიაში 1917—1918 სასწავლო წლის განმავლობაში.

უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ (26/I—918 წ.) ლექციებს კითხულობს არაბულ ენაში. ამას გარდა, პირველ სუმესტრში ლექციებს ჰკითხულობდა ძველ სომხურ ენაშიც, ხოლო 1919 წლის მარტიდან (პროფ. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ) უჭირავს კათედრა ქართული ენისა.

დაბეჭდილი შრომანი:

1. Отчетъ о лѣтней командировкѣ 1913 года въ Душетскій и Тіонетскій уѣзды Тифлисской губерніи для изученія грузинскихъ говоровъ (Извѣстія И. Академіи Наукъ 1913 г. стр. 106§—1074).

2. Отдѣльныя изданія и статьи на грузинскомъ языкѣ,

появившіеся въ 1911 и 1912 г.г. (ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა): Христіанскій Востокъ, т. II (1913 ‹.), გვ. 253—262.

3. Нынѣшніе эквиваленты географическихъ названій Арагвскаго ущелья по **Описанію** 1774 года (Христіанскій Востокъ, т. III, 1914 г., стр. 212—214.

4. რეცენზია ბატონ მოსე ჯანაშვილის **საინგილოს** შესახებ (Записки Восточнаго Отдѣленія И. Русскаго Археологическаго общества, т. XXII, 1915 г. стр. 344—355.

5. ქართული კილოები მთაში (პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მიერ გამოცემული „კრებული“ ივ. ჯავახიშვილის რედაქციით“. ტფილისი 1915 წ. გ. 186—202).

6. Два чано-мингрельскихъ суффикса въ грузинскомъ и армянскомъ ялыкахъ (записки Восточнаго Отдѣленія И. Р. Ахеологическаго общества, т. XXIII, 1916, стр. 366—372).

7. —მცა ნაწილაკი ძველს ქართულში (ბრომეთე 1918 წ. № 1, გვ. 21—26).

8. ვინაობის სუფიქსი —**არ**—ქართულ ენაში (განათლება 1918 წ. № 1, გვ. 21—26).

9. ნასახელარი ზმნები ქართულში (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1. 1919 გვ. 87—96).

და 10. სუბიექტიური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში (ტფილისი 1920 წ.), რომელიც სადისერტაციოთ იქმნა წარდგენილი ქართული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ამას გარდა, იგი ჰბეჭდავდა რუს. სამეცნიერო აკადემიის გამოცემებში „ბამოსვლათა“ წიგნს ათონის მთაზე დაცულის მეათე საუკუნის ხელნაწერის თანახმად, მაგრამ ბეჭდვა არ დამთავრებულა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის 1920 წ. 9 მაისის საჯარო სხდომის ოქმი.

1920 წლის 9 მაისს ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე პაექრობა იყო პროფესორ აკაკი შანიძის გამოკვლევის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ გამო, რომელიც წარმოდგენილ იქმნა საზოგადო ენათმეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად: ოფიციალურ ოპონენტად ფაკულტეტის მხრივ იყვნენ პროფესორი გ. ახვლედიანი და ივ. ჯავახიშვილი; პაექრობის შემდგომ, უნივერსიტეტის დებულების 24 მუხლის თანახმად, ფაკულტეტს მთელი შემადგენლობით ბჭობა ჰქონდა და დაადგინა: თხზულების დაცვა კეთილაყოფად ჩაითვალოს და პროფესორი აკაკი შანიძე ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხის ღირსად ცნობილ იქნეს.

ფაკულტეტის ეს დადგენილება მოხსენდეს ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დამამტკიცებლად.

ტფილისი 8 მაისი 1920 წ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲐ

> არა ევროპის მეცნიერება-კულტურისადმი ტრფიალებამ, არა წინსვლისათვის საქართველოს უკან აზიისაკენ დაბრუნების საჭიროებამ მათქმევინა ეს მცირედი აზრი, არამედ წმიდა ქართულ მეცნიერებისადმი აღგზნებულმა უსაზღვრო სიყვარულმა აღმოხეთქა იგი.
>
> **ავტორი.**

მსოფლიო ომის და დიდი რევოლიუციის დაჯახებამ უცნაური ცეცხლი გააჩინა; ცეცხლის სტიქიონში გაეხვია ძირითადი საფუძვლები საკაცობრიო იდეალებისა, მოულოდნელმა ქარტეხილმა გაიტაცა ადამიანის სული და უსაზღვრო სივრცეს მიაბარა; ბუნებრივად აღგზნებული ცეცხლი სტიქიურია და ძლევამოსილი, მასში ორი პროცესი ხდება: ის სწვავს, მაგრამ შემოქმედებასაც ეწევა; იდეალები ბრწყინვალე მომავლისა ან ამ ცეცხლშიც უნდა გამაგრდეს, ან დაიწვას და ფერფლად იქცეს: ორში ერთი: კაცობრიობა ან უნდა დაიფერფლოს, დაეშვას უფსკრულში, ან და შემოქმედების ცეცხლით აღენთოს და ამ საზღაპრო ქარტეხილში გამოსჭედოს მომავალი!

არ შეუძლია არსებობა ადამიანს თუ მას მიზანი და რწმენა არ უნათებს მომავალს, შეუძლებელია ერის არსებობაც უმიზნოდ, წარმოუდგენელია კაცობრიობის წინსვლა, თუ სოლიდარობა და საკაცობრიო იდეალები არ არსებობენ. დღეს ქაოსია, ბრძოლა მეფობს, ნივთი ბატონობს! ნუ თუ საბუდამოთ გაჰქრა სოლიდარობა, ნუ თუ საერთხეშია კაცობრიობა? ნუ თუ სამუდამოდ გაიბნა ადამიანის სული უსაზღვრო სივრცეშიᲐ არა, და აი რატომ:

ცეცხლი, რომელშიც გახვეულია მსოფლიო, ბუნებრივი სტიქიონია, ის სუსტს, უსუსურს სასიცოცხლო ენერგიას მოკლებულს ანადგურებს, რათა ძლიერს, სასიცოცხლო ენერგიით აღსავსეს, შემოქმედებითი უნარით აღჭურვილს და ცხოველ-მყოფელს სარბიელი მისცეს, ადგილი გაუნთავისუფლოს; ნადგურდება, რომაც დრო მოჭამა, თავისი უკანასკნელი სიტყვა სთქვა, მაგრამ იმარჯვებენ ენერგიით სავსენი, მომავლის მოტრფიალენი განახლების, აღორძინების გზაზე მდგომნი; საღი ადამიანი, საღი ერი ცეცხლის სტიქიონშიც შესძლებს შემოქმედებას, მომავლისათვის იდეალების გამოკვეთას და ჭეშმარიტების, სიმართლის ბრწყინვალე გამარჯვებას იდღესასწაულებს.

დღეს ბრძოლის დროა, განახლებისათვის ბრძოლისა.

დიადი, დაუჩრდილავი იქნება ეს დრო, მომავლის მშობელი-მასაზრდოებელი, ჯადოსნური ნგრევისა და ამავე დროს ღვთაებრივი შემოქმედების კვერთხის მატარებელი, განსაკუთრებული მომხიბლავი ფერით შეიჭრება ის ისტორიაში და საუკუნოდ მიიკედს მომავლის ყურადღებას და წინდახედულებას გვაცალებს ის. საერთო გაზაფხულის პირ-

ველი დიდის გარიერაეს დაასწრო მომავლის მზემ და პირველი სანეტარო სხივი საქართველოს ცაზე გაასრიალა, ღრუბლები გადარეკა, მყინვარი ააცრემლა და ცრემლთა ნიაღვრით გადაცალა დედამიწის ბურთს ის ლაქა, რომელიც ჩვენი ერის მშობელ მხარეს ჰფარავდა. მომავლის მზემ დასწვა საქართველოს მონობა და ჩვენ, ქართველები, ჯან-ღონით სავსენი, სულით ძლიერნი, ფაქიზი, ნაზი, წრფელი გრძნობების, ჭეშმარიტებისადმი მდუღარე სიყვარულის მატარებელნი, მუდამ მაძიებელნი თავისი „მე"-ს სულიერ მეგობრისა, შვილნი ყველაფრით უხვი, საღი, ტურფა მრავალფერადი უმშვენიერეს-უძლიერესი ბუნებისა, გაგვთავისუფლა. ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხე თავისებური, საკუთარი, მთლიანი ბუნებით განსაკუთრებული ფერის შემტანია ერთ განუყოფელ თაიგულ საქართველოში.

მრავალფერადობა ბუნებისა და განსხვავება ნაწილებს შორის, ერთ დროს მიზეზი საქართველოს დაუძლურებისა, მუდამ დიდმნიშვნელოვანი, მასაზრდოებელი, დამამშვენებელი ძალა იყო და იქნება ქართველ ერის ცხოვრებისა. ბუნების მრავალფერადობა ნაყოფიერ ინდივიდუალიზმს ასაზრდოვებდაო,—სწერს ერთი მამულიშვილი,—თვითეული კუთხე განსაკუთრებულ სულიერ ბეჭედს ატარებდა და ამიტომ საქართველოს კულტურა უკეთ დრამატიულად მძაფრი, მოქნილი და მოძრავი იყო ვიდრე იმ ერებისა, რომელნიც ერთფეროვან ბუნების წიაღში სცხოვრობდენ, ერთობილ ქართლში არ ჩაჩრდილულა ტომობრივი, თემობრივი და პიროვნული განსხვავებანი. პირიქით, შეერთებულმა და ძლიერმა სამეფომ სხვა და სხვა კუთხის მკვიდრთ ფართო ასპარეზი მისცა შეჯიბრებისა და დაწინაურებისაო". სწორი და ჭეშმარიტი აზრია.

თუ ასე დიდმნიშნელოვანი იყო მრავალფერადობა საქართველოს ათას გვარ მცენარეებით, მუდამ მწვანე, სუფთა ჰაერით, უხვი მზით და ანკარა, ჩხრიალა ნაკადებით მდიდარი ბუნებისა, უფრო მნიშვნელოვანი იქნება მომავალში მეცნიერულად შესწავლილი და კულტურულად გაერთიანებული. მართალია, ქართველი ერი იყოფა მრავალ ტომებად, რომლებიც ბუნების მრავალფერადობის მეოხებით თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ უმთავრესი მომაძრავებელი მნიშვნელოვანი ძალა აერთებს და ერთ ცოცხალ ორგანიზმად ხდის მათ: ეს გახლავთ ქართული სული და იმისი გამომხატველი, ორიგინალური ენა. ქართული ენა, საერთო ყველა ქართველ ტომთათვის, უმდიდრესია გრამატიკული ფორმებით და განსხვავებული სხვა ყველა ცნობილ ენათაგან: ფონეტიკით, ლექსიკით და ზმნის სირთულე-თავისებურობით. მდუღარე სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე, ცა-ფირუზი, ხმელეთ ზურმუხტი საქართველო იმდენად მდიდარი ქვეყანაა ბუნებრივი განძით, რომ თამამად დაიკმაყოფილებს ერის რთულ კულტურულ მოთხოვნილებასაც კი, მაგრამ ეს არ კმარა საბოლოო გამარჯვებისთვის! საქართველოს ბუნება მდიდარი და მრავალფერადი იყო, მაგრამ ქართველმა ერმა დავით აღმაშენებლის, თამარის და შოთას ბრწყინვალე ეპოქასთან ერთად წარსულში განიცადა მონობა, უძლურება და სიღარიბე—საღატაკეც. ქართველმა ხალხმა უკვე იცის რომ მარტო ბუნებრივი სიმდიდრე არ

ერის საკმაო არსებობა გამარჯვებისთვის! უფრო მეტიც, ბუნებრივი სიმდიდრეც მადლიან მომვლელს მოკლებული დამლუპველიც არის! არა ერთხელ ყოფილა ის დამლუპელი ქართველი ერისათვის და ეხლაც დაღუპვას გვიქადის თუ ელვის სისწრაფით არ შეუთანხმეთ და ვანაცვალეთ მას ჩვენი მდუღარე ენერგია. საღი პატრიოტული გრძნობა, მრავალ ბრძოლაში განმტკიცებული და დღეს მტკიცე ნიადაგ მოპოებული, ფუჭად და უნაყოფოდ ჩაივლის, თუ ქართული მეცნიერების შუქით არ იქნა განათებული ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრენი, სისხლის ლაქებით აღნიშნული განვლილი გზა და ერის სულიერი თვისება-მისწრაფებანი. ჯერ კი, სამწუხაროდ გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ არც ერთი მხარე ჩვენი ერის ცხოვრებისა მეცნიერულად შესწავლილი არაა: ეს იმ დროს, როცა მეცნიერება ღერძია ცხოვრებისა.

ჩამაფიქრებელ-დამაღონებელია მშობელი ერის ასეთი მდგომარეობა ჩვენთვის და გამამხიარულებელ-გამაფხიზლებელი მტრისათვის.

მაგრამ ჩვენი, თუ გნებავთ ასეთი მდგომარეობაც არ არის უიმედო, თუ თვითშემეცნების, თვითმოქმედების და თვით-აზროვნების გზას დაადგება ყოველი ნაწილი ჩვენი ჯანსაღი ერისა და ნაშრომს ერთს მთელი ერისათვის საერთო სალარო-ში დაადგროვებს. ჩვენი ხსნა, საწინდარი ჩვენი განმტკიცებისა ქართული მეცნიერების აყვავება-მომწიფებაშია; მეცნიერებით განათებული გზით სიარულშია შორეული კეთილდღეობის მოპოების იმედები.

ძიება უსაზღვრო ეშმარიტებისა, სწრაფვა ადამიანის სულისა სინამდვილის შემეცნებისაკენ საფუძველია მეცნიერებისა. ქართველი ერი ბომ ეშმარიტების მაძიებელია სიტყვიერებაში, რელიგიაში, გატაცებით მაძიებელია ის მუდამ და ყოველთვის, და თვით ისტორია ქართველ ერისა, ერთი მეცნიერის აზრით, ძიების ისტორიაა. მუდამ ეძიებდა ქართველი ხალხი სულით მოკავშირეს, სულით ნათესავს, ვერ ჰპოვა იგი, მაგრამ სულით არ დაეცა. დარწმუნებულმა მწარე სინამდვილეში რომ ქართველებს ნათესავები სრულიად არა ჰყავს დედამიწაზე, უფრო გაკაჟდა და მეტის გატაცებით შეუდგა სწორი, დამოუკიდებელ-უტყუარი გზის ძიებას.

გაბედულად, მაგრამ დინჯად შეადგა ქართველმა მეცნიერმა ეროვნული სალაროს კარები და რა დაინახა საქართველოს ფიზიზი ცა მოღრუბლული, ქართველთ ღმერთი-სინათლე დაუსაბამო, მიეწყებული, თვით ქართველი ერი გზა-ჯვარედინზე: მოკლებული მეცნიერულ ეროვნულ სკოლას, ხელოვნურ მეცნიერულად ჩამოყალიბებულ ენას, საჭირო ეკონომიურ-ტეხნიკურ, სამშობლო ბუნებას და საკუთარ სულიერ თვისების ცოდნას, აუნთო ციური ცეცხლით და მომავალის მზის პირველი სანეტარო სხივის საქართველოს ცაზე გასრიალების წუთებში, ზებუნებრივი სიძლიერით გადასძახა ერს: „ხსნა მეცნიერებაშია, ხსნა უნივერ სიტეტშიაო“.

განიკურნება ქართველი ერი, განახლდება საქართველო.

პლ. გურიელი.

(შემდეგი იქნება).

ხელოვნების ისტორიიდან

(ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენის გამო).

I

უძველეს დროის ხელოვნება: კვიპტე, ასურეთი, ფინიკია, ებრაელები, სპარსეთი და მიდია.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა, რომელიც მოწყობილ იქმნა ამ დღეებში პრ. ე. თაყაიშვილის თაოსნობით, მრავლად მეტყველებს, თუ რა შემოქმედებითი უნარი გამოუჩენია ქართველ ერს კულტურულ სფეროში. ხელოვნება და მისი მთავარი სახეობანი—ხუროთმოძღვრება, ქანდაკება და მხატვრობა, ერის ინტელექტუალი და სულიერი განვითარების გამოხატულებაა. ხელოვნება და კულტურა—ეს ის ჭეშმარიტი და უტყუარი სარკეა, სადაც მოსჩანს ერის სული, მისი კულტურულ-ნაციონალური ფერადობა—კოლორიტი, მისი ინდივიდუალობა, მისი სპეციფიური და პოტენციალური შემოქმედებითი უნარის ნაყოფი. მნახველის წინაშე თვალ მწარმატად გადაშლილია ქართველი ერის „ორი ათასი წლის კულტურა". მხატვარ გენიოსების მიერ ტეხნიკისა და კომპოზიციის საუცხოო დაცვით გამოკვნილია ქართული ხელოვნების სტილი, რომელიც ნათლად ამტკიცებს, რომ ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას განვითარების უმაღლეს საფეხურამდის მიუღწევია. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელობაზე და მის ისტორიაზე ჩვენ უფრო ვრცლად შეეჩერდებით უკანასკნელ წერილებში, როცა დაახლოვებით გავითვალისწინებთ ხელოვნების ანუ ხუროთმოძღვრების, ქანდაკების და მხატვრობის ისტორიას, მის ზრდა-განვითარებას სხვა და სხვა სახელმწიფოებში და სხვა და სხვა პერიოდებში, და მსოფლიო ხელოვნებაზე ზოგადი წარმოდგენით შევუდგებით სპეციალურად ქართული ხელოლოვნების განხილვას.

ხელოვნება, როგორც ერთი ნაწილი სულიერი შემოქმედებისა, მჭიდროდ დაკავშირებულია ამა თუ იმ ერის კულტურასთან. პროგრესი კულტურაში—ხელოვნების წყაროა,—რეგრესი კი დაქვეითების მომასწავებელი. ხელოვნება განიცდის იმავე პროცესს, რომელსაც ყოველივე მოვლენა ექვემდებარება სამყაროში. მის ზრდა-განვითარებას დაცემის ხანაც მოყვება. „კულტურული საფეხურზე მყოფ ხალხში ხელოვნება ყრმის, ასაკის და დაცემის ხანას განიცდის", ამბობს ცნობილი ხელოვნების ისტორიკოსი ფრანგი **მჰაინი**. ჟამთა მსვლელობაში დროებით დადუმებული შემოქმედება კვლავ ცხოველდება და ახალ ხანას ქმნის ხელოვნების ისტორიაში. მაგრამ მეორე სახით. ეს მოვლენა უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, რომელიც უკავშირებს ხელოვნების ისტორიის ხანებად დაყოფას კულტურულ შემოქმედებას, მსოფლიო ცივილიზაციის. ძველი ხანა, საშუალო საუკუნოები, აღორძინების და უახლოესი ხანა—აი მთავარი პერიოდები ხელოვნების ისტორიაში, მართობლივი გამომხატველი ხალხის ყოველმხრივი შემოქმედებისა. განსაკუთრე-

ბითი ადგილი უჭირავს აღორძინების ხანას, ანუ დასავლეთის ხელოვნებას, (იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ფლანდრია და სხვ.) რომელიც უმთავრესად ორი ფაქტორის გავლენით წარმოიშვა—ანტიური კულტურის და ნატურალიზმისა.

ეგვიპტელები, ფინიკიელები, ბერძნები, ეტრუსები, რომაელები და ასურელები, რომელნიც სამოქალაქო ისტორიაში ცნობილნი არიან ძველი დროის კლასიკურ ხალხებათ და რომელნიც განთქმულნი იყვნენ თავისი ხელოვნებით, ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე და მის მახლობლად სცხოვრობდნენ. ხმელთა შუა ზღვა თანამედროვე ცივილიზაციის ცენტრათ ითვლებოდა, რომელიც ამავე დროს იყო მთავარი ფაქტორი ამ ხალხთა შორის ურთიერთ გავლენისა და კავშირისა. ძველი ეგვიპტეს არსებობა დამოკიდებული იყო მდ. ნილოსისგან, რომლის ყოველწლიური რწყვა ეგვიპტეს უდაბნოების და უნიადაგო ადგილებისა, კულტურულ და ეკონომიურ პროგრესის საშვალებას ქმნიდა მცხოვრებთათვის. ეგვიპტელები სემიტელთა რასას ეკუთვნიან. უძველეს დროიდან დასახლებულნი, ეგვიპტელები ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას არ წარმოადგენდნენ, ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფილნი დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდნენ, სანამ ვინმე მენესმა, დაახლოებით 5000 წ. წინ ქრ. დ. მთელ, პოლიტიკურ ძალუფლების ხელში ჩაგდებით არ გააერთიანა დაქსაქსული ეგვიპტელები ერთ მთლიან სამეფოში.

ეგვიპტელთა ისტორია იყოფა შემდეგ ოთხ ხანათ: 1, მემფისის ხანა ქ. მემფისით, 2, თებეთის ხანა ქ. თებეთ, 3, საისის—ქალაქ საისით და 4, ბერძენთა ბატონობის ხანა. ეგვიპტელთა ამ პოლიტიკური ისტორიის დაყოფასთან დაკავშირებულია მათი ხელოვნების ისტორიის დაყოფაც.

ეგვიპტელთა კულტურა პირველ პერიოდში საკმაო განვითარებული იყო, რაც მათი სპეციფიური კულტურული ნიჭის ევოლიუციის შედეგათ არის მიჩნეული. განსაკუთრებით აყვავდა მათი კულტურა მეფე რამსეს II დროს 16-ს. ქ. წ. ასურელთა და პერსთა მიერ განადგურების შემდგომ ეგვიპტელები ბერძნებმა დაიპყრეს და გაავრცელეს მათში თავიანთი კულტურა, თუმცაღა აღსანიშნავია შემდეგი მოვლენაც, რომ მათ ეგვიპტელთა ძველ ცივილიზაციისთვის ხელი არ უხლიათ.

ეგვიპტელთა ძველები პირველათ ცნობილმა ხელოვნების მცოდნე ბონაპარტემ აღმოაჩინა თავის ექსპედიციის დროს. ამის შემდეგ გამოვიდა საინტერესო წიგნი „ეგვიპტეს აღწერა“, რომელიც ბონაპარტეს მიერ მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციის დასრულებულ შრომას წარმოადგენს. ამ ასპარეზზე მომუშავეთა შორის აღსანიშნავია შამპალიონი, რომელმაც პირველად წაიკითხა ეგვიპტელთა იეროგლიფები. უკანასკნელი წარმოადგენს ცხოველთა და უსულო საგანთა ფიგურებს. მეცნიერებმა—მარიეტტემ და შემდეგ მასპეროომ, კაირის ახლოს—ბულაკში მუზეუმის გახსნით და თავიანთი მრავალი გამოკვლევებით საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერული ეგვიპტოლოგიას. უკანასკნელად, მსოფლიო ომის დაწყებამდის იქ მუშაობდა სპეციალური მისია საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიისაგან გაგზავნილი. ძველი ეგვიპტელი თვინიერი და მორჩილი იყო. მისი მორჩილება განსაკუთრებით რელიგიაში ჩდებოდა.

მრავალ ღმერთობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ხელოვნების ისტორიისათვის უფრო მეტი მნიშვნელოვანია შემდეგი ღმერთები, რომელთა მუდმივი სადგომები ანუ ტაძრები მოწმობენ ხუროთმოძღვრების განვითარებას. ესენია: ოზირისი—კეთილი ღმერთი (მდ. ნილოსის გაღმერთება) სეჰტ,—ქვესკნელთა სამეფოს ღმერთი, რა—მზე და სხვ. მათ უფრო სწამდათ საიქიო. მათი შეხედულობით, ადამიანი ორი ნაწილისაგან შესდგება,—სხეული და „მეორე პირისაგან". უკანასკნელს ეწოდება კა, რომელიც ადამიანის სიკვდილის შემდეგ წარსდგება ოზირისის წინაშე სამსჯავროზე. ამ ღმერთებისადმი მიმართულ ჰიმნებში და ლოცვებში მრავალი პოეტური ადგილებია, რომლებიც ნათლად მოწმობენ, თუ რა გავლენა ქონიათ მათ ეგვიპტელთა ხელოვნებაზე.

ეგვიპტელთა ხელოვნება უმთავრესად პირამიდების და საფლავებზე ძეგლების აშენებაში გამოიხატება. ე. წ. „მკვდარის სავანე" წარმოადგენდა სადგომ ბინასაც, სადაც ეგვიპტელთა რწმენით სცხოვრობდა „დვინიკი" „ანუ მეორე პირი" გარდაცვლილ ადამიანისა, რომელიც უფრო ნაკლებ, ვიდრე ამ ქვეყნიური კვრივი ნივთიერებისაგან შესდგებოდა და რომლის ფერადული და ჰაეროვანი სახე ნათლათ გამოსჭვივოდა*). პირამიდებს, რომლების მეფეთა ანუ ფარაონთა სასაფლაო ადგილებს წარმოადგენდა, რამდენი ასი და ათასი წლობით აშენებდა სამეფო დინასტია. ყველაზე უფრო დიდი პირამიდი შეიცავს 137 მეტრ სიმაღლეს. ასამდე პირამიდებმა შეინარჩუნეს თავიანთი ძველი სახე—მათ შორის სამი შესანიშნავია საოცარი სიდიდით. პირამიდებს ამშვენებდნენ სფინქსები, რომელთა სიდიდე ნათლათ მოწმობს, თუ როგორი ლტოლვა ჰქონდათ ეგვიპტელებს გადმოეტანათ ხელოვნებაში ბუნების კოლოსალობა. შესანიშნავია აგრეთვე ნეკროპოლები. ნეკროპოლის სასაფლაო სამი ნაწილისაგან შესდგებოდა. პირველ ნაწილში ანუ დერეფანში სრულდებოდა რელიგიური პროცესი. მეორე ნაწილში მოთავსებული იყო მუმიის ქანდაკებანი და მხატვრობა, ბოლოს მესამე ნაწილში—სარკოფაგი იყო მოთავსებული, სადაც თვით მუმია ინახებოდა.

ამ ეპოქის ქანდაკების გაცნობისათვის უნდა გავეცნათ ხისა და ქვისაგან ქანდაკებებს, რომლებიც აღმოჩენილი იქმნა ბოლო ხანებში და წარმოადგენენ მკვდარ ადამიანის გამოხატულებას. ტეხნიკაში ყოველი დეტალი ისეა დაცული, რომ ქმნის ცოცხალ ადამიანის ილიუზიას. მაგ. („ხის ქანდაკება „რაამკა", შენახულია ბულაკის მუზეუმში) ეგვიპტელთა ხელოვნებას ახასიათებს ხატოვნობა, რაიც აიხსნება მათი რელიგიოზური მსოფლმხედველობით. მხატვრობას ეგვიპტელები ეწეოდნენ უბრალო საღებავებით, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მათ მხატვრობაში მაინც საკმაო მთლიანობაა დაცული; დეკორატიული ხასიათით და თავისებური მანერის შესრულებით ეგვიპტელთა, მხატვრობა ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს ხელოვნების ისტორიაში.

ეგვიპტელთა ხელოვნებაში ხუროთმოძღვრება დიდ როლს თამაშობდა თებისა და საისის ხანაშიც- ამდროის მრავალი ხუროთმოძღვრული ნაშთები შენახულია თების, აბიდოსის, სიუტის და ბენი-გასანის

*) Maspéro „Histoire ancienne des peuples de l'Orient.

ნეკროპოლებში. ამ პერიოდში ნაშენთა შორის განსაკუთრებით შესანიშნავია მრავალი ტაძრები, რომლებსაც თავისი სიდიდიდით გაკვირებაში მოჰყავდა მნახველი. ხეოვანი, სფინქსების ფიგურებით გარშემორტყმულნი, გრძელდება ორ კილომეტრს და მიდის პილონამდის, ანუ კარებამდის, რომლის იქით თვალმწარმატად მრავალი მონუმენტებით მორთულია საკურთხეველი. შესავალს გვერდებზე აღმართულია ორი პირამიდისებური დიდი კოშკები, საიდანაც ამაყათ გადმოყურებენ მოგრძო დროშები, ობელისკები და კოლოსალური სიდიდის ქანდაკებანი. საკურთხეველი ანუ „წმინდა ეზო“ გარშემორტყმულია სქელი და მაგარი კედელით. ეზოში რამდენიმე შესასვლელია. ბოლოში დიდი დარბაზია, რომელსაც უწოდებენ შესაკრებ ზალას. ამ დარბაზს, მრავალი სვეტების გამო, რომლებზედაც ამოყვანილია ზეპერი, ეძახიან გიპოსტილურ ზალას. აქ იკრიბებოდა ხალხი, როცა მეფე და მთავარი მოგვები ლოცულობდნენ საკურთხეველში, სადაც გამოქანდაკებული იყო მრავალი ღმერთები. ეგვიპტელთა ხელოვნების ისტორიაში ასეთ ნაშენთა ტიპიურ წარმომადგენლათ ითვლება კარნაკის უდიდესი ტაძარი, რომელიც სიგრძით 365 მეტრს აღემატება, სიგანით კი 113 მეტრსა. ამ ტაძრის გიპოსტალური დარბაზი შეიცავს 102 მეტრის სიგრძით და 51 მეტ. სიგანით. კარნაკის ტაძარი ნათლათ ამტკიცებს ეგვიპტელთა ხელოვნების სპეციუფიურ თვისებას, რომელიც გამოიხატება არა ნაშენის ნაწილთა ჰარმონიაში, არამედ ამ შენობის კოლოსალურ სიდიდეში.

ა. შილაკაძე.

(გაგრძელება იქნება).

სასულიერო პოეტები:

იოვანე საბანისძე, ივანე მინჩხი და **ფილიპე** *)

ფრაგმენტი.

1

მოკვდენ ბრწყინვალე ღმერთები ელადისა და რომის. დაიმსხვრა არმაზის კერპი და მოვიდა ეპოქა ახალი რელიგიის. სხვა ღმერთი დაეპატრონა ადამიანის სულს. ცივი ასკეტიზმი დაეუფლა გრძნობას და ხელოვნური სიტყვაც გახდა მის მსახურად.

იყო ორი ერი, რომლის შემოქმედებაში სავსებით ამოიწურა ანტიური შემეცნება, ესენი იყვნენ ჰელინნი და რომაელნი. ფიდიასის მარმალილოში პირველად იკივლა ჰელინთა გაგიჟებულმა ფანტაზიამ. არსად არ ყოფილა ისეთი დაწვა სილამაზის მაგიური ცეცხლით, და არავის არ განუცდია სამყარო ისე ძლიერ, როგორც ჰელინ[illegible]

[illegible]

*) ეს წერილი წაკითხული იყო უფრო ვრცლად სახელმწიფო ენციკლოპედიის სალიტერატ. წრეში. აქ კი შემოკლებით ვათავსებთ.

დიონისოს კულტი და ლამაზი სხეულის მოგვური თაყვანისცემა ჰელინთა ესტეტიკის უაღრესი ასახვაა. ელინელებმა იცოდნენ ლიტურგია მშვენიერების. მაგ. სიტყვა ყოველთვის ფოლადის ბრძმედში იყო ადუღებული. იმართებოდა ჯირითი ხელოვნების სხვა და სხვა დარგების და იქნებოდა დაუსრულებელი ფანტაზია ავი ჩვენებით ავარვარებულ სულის.

ჰელადის მეტაფიზიკური აზრის კოსმოლოგიური ელფერი (მსოფლიო, როგორც მთლიანობა)—სოკრატის და პლატონის ფილოსოფიით დამთავრდა. პლატონით და სოკრატით იწყება ევროპიტი ფილოსოფიის აღორძინება და მათი მნიშვნელობა დღემდის გარდუვალია ფილოსოფიის ისტორიისთვის.

რომი იყო ნიჭიერი მოწაფე ჰელლადის კულტურის და კიდეც ბევრი შეისწავლა მისგან. გარნა ხშირად იმპერიალისტური ზრახვებით იჩრდილებოდა სხვოსნობა მისი.

არის კიდევ ერთი ქვეყანა, რომლის კულტურა, შესაძლოა, წინა მორბედი იყო ჰელლადის და რომის კულტურის. ეს იყო—ეგვიპტე. თავისი გამოუცნობი პირამიდებით, რომელთა იდუმალი აზრი ჩვენთვის უფრო მეტი მნიშვნელოვანია, ვიდრე გენიოს ფიდიასის მარმალილოს, ან ოვიდიოს ნაზონის პოემები.

ასეთია მოკლედ ანტიური კულტურის ხაზები. აქ, რა თქმა უნდა, სათვალავში არაა სხვა ერები, რადგან მათი კულტურული სახე იკარგება ამ სამ ერთა კულტურის ალისფერ ღრუბლებში. და, ცხადია, საქართველოც არ შეადგენს ბედნიერ გამონაკლისს.

არც ერთს კულტუროსან ერს არ ჰქონია ისეთი გავლენა ძველ საქართველოზე, როგორც ელადას და რომს. მარტო სტრაბონის და ქსენოფონტეს მოგზაურობა საქართველოში და პომპეის ხიდის ნაშთი ბევრს ლაპარაკობენ ამის შესახებ.

ხოლო, როგორი იყო წარმართული საქართველოს კულტურა და, რა ფასი ჰქონდა მას?..—ჩვენ, სამწუხაროდ, ამაზე მსჯელობა არ შეგვიძლია. ვინაიდგან არ დაგვრჩენია არც ერთი ძეგლი, (გარდა ზოგიერთი ხალხური ლექსის) რომელიც ცხად ჰყოფდეს ჩვენ შეხედულებას ამ კულტურაზე.

წარმართულ საქართველოს მთავარი ღმერთი მზე იყო.

მრავალი პოეტი და ხელოვანი ჰსახავდა მზეს, როგორც მშვენიერების მეტოქეს. საგულისხმოა ოსკარ უაილდის სიტყვები, რომელიც მან უთხრა თავის მეგობარს, ალჟირში შეხვედრის დროს: „ეხლა მე გაურბივარ ხელოვნებას. მე მინდა ვიოლოცო მზეზე. თქვენ შეამჩნიეთ რომ მზე სდევნის აზრს? აზრი იძულებულია ჩეროში დაიმალოს. მზე სცხოვრობდა ეგვიპტეში. მზემ დაამარცხა ეგვიპტე. ის დიდხანს სცხოვრობდა ჰელადაში,—ჰელადა დაამარცხა მზემ. და ეხლა ყოველი აზრი განდევნილია ნორვეგიისკენ და რუსეთისკენ, სადაც არას დროს არ არის მზე. მზეს ჰშურს ხელოვნება!..“

ღრმა დაკვირვება არაა საჭირო, რომ აშკარა გახდეს გენიალურ პოეტის მიერ დაპირდაპირება ხელოვნებისა და მზის.

საქართველო, უპირველეს ყოვლისა, მზის ქვეყანაა. და მზეს უგა-

ლობს ქართული სული: „მზევ შინა და მზევ გარეთა მზევ შინ შემოდიო?“ ეს ლექსი წარმართობის დროიდან მოდის და აქ არის გიეური აღტყინება მზის სიახლოვის. არის სიჩქარე და მოუთმენლობა. ქართული სული წარმართულია უაღრესად. დღემდის დარჩა ქარველი ფიცი. „ჩემმა მზემ“. რად სჭირდება ქართველს „მზის“ დაფიცება მაშინ, როცა მას ჰყავს სხვა ღმერთი?.. მაგრამ მასში სცხოვრობდა და სცხოვრობს მზე, როგორც ცოცხალი სიმბოლო უკვდავებისა და მშვენიერების. ეს ეს უსრულებელი ლტოლვაა სხივოსან მშვენიერებისადმი, რომელიც ასე იმღერება „ვეფხვის ტყაოსანში“.

„მომცეს ფრთენი და ავფრინდე მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“.

დაუპირდაპირეთ ეს ლექსი ზევით მოყვანილ ხალხურ ლექსს და თქვენ მიხვდებით თუ საით მიჰქროდა ქართული სული ამ მხრით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შოთამ სინტეზი გაუკეთა ეროვნული სულის ძიებას. და ეს იმიტომ, რომ რუსთაველის სულს ღრმად ემჩნია სისხლიანი ქვალი ცხელი არმაზისა.

მაგრამ წარმართობამაც ნახა თავისი დასასრული. საბედისწერო ვარსკვლავმა აღმოსავლეთის მოგვები ბოლოს ბეთლემში მიიყვანა. მე ვამბობ ქრისტიანობის მოსვლაზე. არაფერს ისეთი დამღუპველი მნიშვნელობა არ ჰქონია წარმართულ კულტურისთვის, როგორც ქრისტიანობას. ფრიდრიხ ნიცშეს თქმით: ქრისტიანობა ცივი წყალივით გადაესხა ჰელადის მზით მოთენთილ კულტურას. და მართლაც: ძირითადი იდეა ქრისტიანობისა: პრობლემა ბოროტებისა, სიყვარულისა და ქვეყნის უარყოფისა—რადიკალად ეწინააღმდეგებოდა წარმართულ კულტურას. ქრისტეს შემდეგ საბერძნეთის კულტურა უკან დაეჭანა და დაიწყო ახალი ეპოქა ახალი ღმერთებისა და ახალი ძიების.

2

საქართველოში ქრისტიანობა საბერძნეთით შემოიჭრა და დაიძრა არმაზის მთიდან ეროვნული კერპი. ამ დღიდან იწყება ბრძოლა ორი რწმენის შორის. ეს ბრძოლა დღესაც არის და წარმართული ნიღაბი ქართულ სულს ჯერ არ ჩამოუშორებია. ქრისტიანობის პირველი ეპოქის მწერლობა და კერძოთ, პოეზია საეკლესიო იყო. ასე იყო ყველგან. ასე იყო ჩვენშიც.

სასულიერო მწერლობის პირველი ნიმუში მე-V საუკუნეს ეკუთვნის. ეს იყო: „წამებაჲ წმიდისა შუშანიკის“.

რაში გამოიხატა ზოგადი თვისება სასულიერო პოეზიის?.. ქრისტიანობის იდეის განმტკიცებაში. არის ღმერთი ერთი,—მაგრამ სამპიროვანი. ქრისტეში განკაცდა ღვთაებრივი ბუნება. ქრისტე იყო ღმერთ-კაცი, კაცობრიობის ცოდვების გამოსახსნელად მოვლინებული. ქრისტიანობის უპარატესობა—ქრისტეს აღდგომაში გამოიხატა და უამისოთ, ცხადია, თვით ქრისტიანობაც დაჰკარგავდა ყოველ აზრს, როგორც რელიგიური სისტემა. მთელი ქრისტიანული ღვთის მეტყველება ამ აზრის გარშემო ტრიალებს და ყველა თვალსაჩინო სასულიერო მწერლები, უპირველესად ყოვლისა, ამ აზრს განამტკიცებდნენ თავის ნაწერებში.

რადგან კარგად ესმოდათ, რომ თუ ქრისტეს გვამს ისეთივე ბედი ეწვია, როგორც ჩვეულებრივს მომაკვდავს.—ქრისტიანობას რაღა ფასი ექნებოდა. ჩვენი სასულიერო პოეტები ქრისტეს აღდგომას ნახევარზე მეტ ადგილს უთმობენ თავის საგალობლებში. ისინი ვრცლად სარგებლობენ იმ საღმრთო წერილის მდიდარი მასალით, რომელიც მათ ხელთ ჰქონდათ, ბიბლიის სახით. მაგრამ, გადავიდეთ თითონ პოეტებზე. სასულიერო პოეზიის ზანდუკის გახსნისას, პირველად პოეტი **იოვანე საბანის ძე** გვხდება.

მისი ნაწარმოებია: „წამებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲისი“. პოეტს ეს ნაწარმოები ქართლის ქათალიკოზის სამოელის შეკვეთით დაუწერია, აბოს ხსენების დღისთვის. („მოვედით მორწმუნენო ქრისტეჲნო—ეჰყოფდეთ ხსენებასა წმიდისა აბოჲსსა“).

ეს ნაწარმოები მთლიანი საგალობელია და შეიცავს: წინასიტყვაობას, შინაარს და ბოლოსიტყვაობას.

წინასიტყვაობაში ავტორი მოუწოდებს მორწმუნეთ წმინდა აბოს დღესასწაულზე. ადარებს წმინდანს პავლე მოციქულს, რომელსაც ასეთივე ბედი ეწვია (თავი მოჰკვეთეს ქრისტეს აღსარებისთვის). სხვათა შორის, ავტორი დაახლოებული პირი ყოფილა აბოსი. ის ამბობს: („შემიყვარე მე ქრისტეჲს მიერითა სიყვარულითა ვიდრე იყავლა სოფელსა შინა ჩვენსაო“). ავტორის აზრით აბოს წამებას ორნაირი მნიშვნელობა აქვს.

ერთი: თითონ აბოსთვის აქვს ის მნიშვნელობა, რომ „ამიერიდან მას ცეცხლის მზგავსი სამოთხის მცველი ქერუბიმები სამოთხეში შესვლისას ვედარ განიკითხავენ“.

მაგრამ მეორე და, მასთან, მთავარი მნიშვნელობა აბოს წამებისა გამოიხატა აი რაში: „შენ გამო წმიდაო, მოწამეო, სიყვარული იგი ქრისტეჲსი ჩვენდამო და სარწმუნოებაჲ ჩვენი მისა მიმართ კვალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა. სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელსა. ეხლა კი: „სწავლულნი უფროჲს გულის ხმიერ ჰყვენ, შერყეულნი (რასაკვირველია სარწმუნოებაში) უფროჲს განამტკიცენ. განმტკიცებულნი—გამხიარულდნენ. შემდეგ შინაარსში:

აწერაა წამების: სამჯერ მიმართვის შემდეგ, რომ მას, (აბოს) უარეყო ქრისტიანობა და მიეღო სჯული აგარაენთა—აბოს მოჰკვეთეს თავი და მისი სხეული დასწვეს. ეს მოხდა დედა ქალაქ ტფილისში.

პოეტს აქვს ლამაზი სტილი: „ნაკვერცხალსა მას ზედა ცეცხლისასა აღვიდოდა ვითარცა სულნელებაჲ საკმეველთა ხორცთა მაგათ შენთაჲ“. აქვე არის მაგარი თქმა: „ვითარ აღმევსოს მე გული სისხლითა“. არის რიტმიც: (აბო) „ხედვიდა მახვილს აღმართებულსა“ და სხვა...

სასულიერო პოეზიის კრიალოსნის მეორე ძვირფასი მარცვალი ივანე მინჩხია. მას ეკუთვნის: „დასდებელნი წმიდისა აღდგომისნი“, სადაც გამოხატულია ის აზრი, რომ ღმერთმა ადამიანის ცოდვის გამოსახსნელად მიიღო კაცობრივი ბუნება, ვნებით ივნო და თავის აღდგომით აღადგინა ადამიანი.

როგორც იესო ქრისტეს მოციქულნი, აგრეთვე ივანე მინჩხიც

იესო ქრისტეს აღდგომაში ხედავს თითონ იესოს ნაწინამეტყველების ასრულებას.

ამავე ავტორს აქვს: „ხსენებაჲ ღმრთივ გვირგვინოსანი მეფისა, თევდოსი, მორწმუნისა, სასწაულთ მომქმედისა“ და „წმიდა მამის ექვთიმეს საგალობელი“. რომელნიც განსაკუთრებულ ყურადღებას არ იპყრობენ მაინცა და მაინც.

მინჩხის საგალობლებში აღსანიშნავია გარეგანი მხარე,—(ფორმა), არის ასეთი ლექსის წყობა.

„ჩემ თვის დაადგრა ქათწულის საშოსა,
„მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთა“
რამეთუ მიხილა მე ქმნილი თვის ხატად“ და სხვა.

აქ არის დაცული რითმი მაგრამ ურითმოდ ლექსი თორმეტ მარცვლოვანია და აქვს აგრეთვე ასეთი სახის ლექსიც:

„მიიღებენ მართალნი,
ქრისტეს ნების მყოფელნი.
აღთქმასა მას ჭეშმარიტს—
პირითა მით უტყუველი და სხვა.

მაგრამ რითმა არც აქ გვხდება. ამ მხრით ლექსის ტეხნიკაში ყველაზე მეტი მიღწევა პოეტს ფილიპეს აქვს. მისი ლექსი, რომლის სათაურია. „ფილიპე“ შეიცავს სულ 13 სტრიქონს. სტრიქონებში არის არეული ლექთწყობა. მაგრამ თავიდან ბოლომდის სალექსო სტრიქონში დაცულია 16 და 17 მარცვლოვანი ლექსის ზომა.

ეს ლექსი იწყება ასე:

„ფესვთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ ქალწულო,
„იაგუნდის ძოწეული სამოსლად გაქვს ღმრთის მშობელო.
ლამპრითა მით ბრწყინვალითა მოგეგებვით დედოფალო,
ითხოვე შენ მოტევება ბრალთა ჩვენთა დედოფალო და სხვა...

როგორც ხედავთ ეს ლექსი ფორმის მხრით უკვე გამართული ტეხნიკაა ეგრედ წოდებულის შაირული. ამ ლექსის პოეტური მხარე თითქმის მთელ სასულიერო პოეზიაში უმაღლეს განვითარებას აღწევს. მაგალ. „იაგუნდის ძოწეული სამოსლად გაქვს ღმრთისშობელო“. მეტად ლამაზი სახეა.

დასასრულ, აღსანიშნავია ერთი საუკეთესო თვისება ამ სამი პოეტის: ეს არის მათ საგალობლებში დაცული ქართული ენის თვალის მჭრელი სამკაულები. გარდა ამისა ყველა სასულიერო პოეტები ერთი დროშის ქვეშ მიდიან და ამ დროშა აწერია: ქრისტიანობის იდეა:

მაშინდელ საქართველოს უმთავრესად ქრისტიანობის იდეა ახასიათებდა და ამ მთავარ იდეასთან იყვნენ დაკავშირებულნი სხვა იდეებიც. მაგალითად, სამშობლოს იდეა. რჯულის მოღალატე სამშობლოს მოღალატედ ითვლებოდა და ისტორიამ იცის ბევრი მაგალითი, როცა რჩეულნი მამულიშვილნი სჯულისთვის თამამად ადიოდენ სახრჩობელაზე და კოცონზე.

თუნდაც სასულიერო პოეზია არ არის მდიდარი იდეათა მრა-

ვალ ფეროვნებით, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ჩვენ მიერ მისი დაფასება ცხადია, რომ სასულიერო პოეტებმა მოიტანეს ჩვენს პოეზიაში ის ძვირფასი ქვები, რომლითაც რუსთველმა ააშენა უკვდავი ძეგლი და, რომელიც კიდევ ბევრ საუკუნეს იქნება ქართული ხელოვნების სიამაყეთ.

ვასილ გორგაძე.

ტფილისი, 1919 წ.

ატენის სიონი *).

ატენის სიონი, ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების მხრივ უძველესი ტაძართაგანია საქართველოში. იგი მდებარეობს გორის მაზრაში, ატენის ხეობაში, მდინარე ტენის ნაპირას. ეს კუთხე ქართლისა განთქმულია თავისი ბუნებრივი სილამაზით. ატენი, ძველად ციხე-ქალაქი, დღეს წარმოადგენს ნანგრევებს, რომელზედაც გაშენებულია სოფელი ატენი. ნანგრევთა შორის ჩვენამდი მოუხწევია სამიოდე ეკლესიას, რომელთა შორის, შედარებით, კარგად შენახულია დიდებული ატენის სიონი. ატენის სიონი არქეოლოგიურად განხილული და აღწერილი აქვთ შემდეგ პირებს: დ. ბაქრაძეს „Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства" გვ. 31 წიგნი I., მურავიოვს „Грузія и Арменія" ნაწ. III, გვ. 102, გრაფინია უვაროვისას „Матеріалы по Археологіи Кавказа, Христіанскіе памятники" вып. IV: მარი ბროსეს თავის „Rapports" (3-e p. 22—25.; დიბუას „Voyqn autour du Caucasn" III, 210—218, ივანე ჯავახიშვილს კრიტიკულად აქვს განხილული ატენის სიონის წარწერები თავის „Христіанскій Востокъ-ში", ტომი I, გვ. 277—297 და ხელოვნების მხრივ შესწავლილი აქვს კონდაკოვს თავის წიგნში „Древная архитектура Грузіи". გეგმა ატენის სიონისა არის ჯვრის მსგავსი, გუმბათიანი და ოლილის ქვით ნაშენი. იგი აშენებულია ღვთის მშობლის მიძინების სახელზე და მიტომ, ჩვეულებრივ, უწოდებენ სიონს. კედლების გარე პირზე არის წარწერებიანი შემდეგი ქანდაკებანი: სამხრეთის კარის ბჭეზე გამოქანდაკებულია ორი სახე ადამიანისა, გრძელ აღმოსავლეთურ ტანისამოსში, კიდევ ზევით გამოქანდაკებულია ორი ქალი მოსახვევში გამოხვეული, მათ ქვეშ სამი წარწერაა: პირველი გრძელი ასომთავრული წარწერა, შემდეგ სომხური და კიდევ ქართული წარწერა, თითქმის წაშლილი. პირველი გრძელი ასომთავრული წარწერა წაკითხული აქვს მარი ბროსეს ორჯერ, ერთ მეორისაგან ცოტა განსხვავებით და შესწორებით, ბაქრაძეს, თ. ეორდანიას თავის ქრონიკებში 1 წ. გვ. 206, და ბოლო ხანებში ივ. ჯავახიშვილს, რომელიც ცოტა განსხვავებულად ჰკითხულობს აღნიშნული წარწერის ზოგიერთ ასოებს და მოყავს საყურადღებო ისტორიული და ლინგვისტური ცნობანი წაკითხულ ტექსტის სისწორის დასამტკიცებ ლად.

*) წაკითხულია საარქეოლოგიო სემინარში.

წარწერა იკითხება ასე:

1) სახელითა ღმრთისაჲთა მე გ[ა]რგნლმან მირიანის ყმამან.

2) თარხონის ძისა მან ატენისა ციხის თავმან ავაკენ სახლნი.

3) და ქოლბაკი მის ჟამსა ოდეს ადიდენ ღმერთმან ძლიერმან მეფეთა მეფემან.

4) ბაგრატ უბრძანეს მინასა მათსა მირიანს პატრონსა ჩემსა.

5) სეფესა ზოკარსა შიდა ქალაქსა შენებაი გოკმარჯა ღმერთმან.

6) და ბედმან მეფობისა მათისა მან ვითა სწადდა მეფობისა მათსა ეგრე.

7) ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი შეგვწყალნა მეფობამან მათმან სახლენი ადგილნი და საქოლბაკენი.

8) მკვდრად ნებიერობით გვბოძნა მირიანს და ყმათა მისთა რომელთაცა შენებაჲ.

9) შენებაჲ შეეძლო და მე ავაგე სახლი და ქოლბაგი და შევწირე წმიდასა სიონსა ატე.

10) ნისსა საყოფელსა წმინდისა ღმრთის მშობლისსა სალოცველად ჭლანმცა ოკონისადმე ძრიელი მე.

11) ფეთა მეფს ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კოკრა-პალატი და სალოცველად სულისა მირთან მიწისა მათისა.

12) გამზდელსა პატრონისა ჩემისა თჳნ დავდევ დღე თევდორობაჲ აღა.

13) პად გარდაიხდიდეს მამასახლისი წინამძღვარი სიონისაჲ ვინცა იყოს ქრისტე შეიწყალენ.

სომხურ წარწერას სპეციალისტები, გრაფინია უვაროვის გამოცემაში, კითხულობენ: „მე როსოკი, აღმაშენებელი წმიდა ეკლესიისა". მურავიოვის აღწერაში ნათქვამია, რომ სომხურ წარწერაში, ტაძრის მაშენებლად დასახელებულია ვიღაც პავლეო. ხსენებული სომხური წარწერა წაკითხული აქვთ დიბუას, ბროსსეს და ივ. ჯავახიშვილს ამგვარად:

„მე თედოსი... აღმაშენებელი წმიდა ეკლესიისა". უკანასკნელი, თითქმის წაშლილი წარწერა, იხსენიებს ბაგრატს.

აღმოსავლეთის კედელზე გამოჭრილია სამი ფანჯარა, ჩუქურთმიან თაღებით შემკობილი. ფანჯრის თაღზე გამოქანდაკებულია ადამიანის სახე, რომელსაც თვლიან ბაგრატ IV. ის აღმოსავლეთურ სამოსელშია, თავი მოპარსული აქვს, ზედ პატარა ქუდი ხურავს და ხელში უკავია ეკლესიის გეგმა, მის ცოტა ზევით ანგელოზის ნახევარი ფიგურა მოსჩანს და გვერდით მსგავსივე ჩაცმულობის სახეა გამოქანდაკებული. ჩამოთვლილ ქანდაკებათა ქვეშ გამოქანდაკებულია სხვა და სხვა სიმბოლიური მნიშვნელობის ფრინველები. მათ შესახებ მურავიოვი თავის აღწერაში ამბობს: „რომ გამოქანდაკებული პირები არიან ბაგრატი თავის მეულლით, რუსუდანი მეფე თამარის ქალი, რომელმაც განაახლა ეკლესიაო».

ჩრდილოეთ კარის თაღის გვერდებზე გამოქანდაკებულია ირმები, რომელთაც თავის მხატრულ თავისებურობით აღტაცებაში მოჰყავს კონდაკოვი, ის ამბობს: „ყველაზე საინტერესო ნიმუშს, ქართველთა ძველი სარწმუნოებრივი ქანდაკებისას წარმოადგენს ჩრდილოეთ კარების გვერდებზე გამოქანდაკებული რგოლისებრი რკალი, რომელიც გამოსახავს ჭურჭელს წყლით და წყლის მსმელ ირმებს, რაც წარმოადგენს

სარწმუნოების სიმბოლიურ გამოხატულებასო“. ამავე მხარეზე, სახურავის ქვეშ, გამოქანდაკებულია სახე თვით ეკლესიის აღმშენებლისა, რომელიც მუხლ მოდრეკით სდგას მაცოვრის წინაშე, ქანდაკება მეტად დაზიანებულია.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე გამოქანდაკებულნი არიან: სამსონი, გამგლეჯი ლომისა, წმ. ევსტაფი, ირმებზე მონადირე და ვალაამის ვირი, მეტად დაზიანებული წარწერით. ამავე მხარეზე, მოგზაურ მურალოვის თქმით, ყოფილა ბერძნული წარწერა. დიბუა მოგვითხრობს, რომ მას ამავე გვერდზე სლაური წარწერაც უნახავს, მაგრამ არც ბერძნულს და არც სლაურ წარწერას ჩვენამდი არ მოუსწევია.

ახლა გადავიდეთ ატენის სიონის შინაგან მოყვანილობის აღწერაზე. შიგნით ტაძარი თავის მოყვანილობით ვარსკვლავის სახისაა.

აღმოსავლეთით მოთავსებულია სამსხვერპლო და სადიაკონო. კანკელი ნაშენია ნარევ ქვისაგან და ხუთ თაღიანია. მის საძირკველს შეადგენს ფერად მარმალილოს სვეტების ნანგრევები, რომლის დაბლა გვერდებზე ჩაშენებულია საუცხოოდ დაწნული ჩუქურთმიანი ჯვრები წარწერით, რომლის წაკითხვა ფრიად საძნელოა და გადმოღებული აქვს კალვის საშუალებით გრაფ. უვაროვისას. წარწერა ასო მთავრულია, თავი და ბოლო პწკარი არ იკითხება, ორი შუა პწკართაგანი იკითხება ასე: „. . . მსახურად წმიდისა დედის შენისა ტაძრისა: ყოველად წმიდაო ღვთის მშობელო . . . . . .“, ტაძრის შინაგანი მოხატულობა მეტად მშვენერია. უმეტესი ნაწილი ფრესკებისა კარგად შენახული თავიანთ წარწერებით. კარგად არის შენახული ღვთის მშობელი ორი ანგელოზითურთ საკურთხევლის ცაზე. სამხრეთით შემდეგი ფრესკები მოსჩანან: იოსების სიზმარი, მოგვთა თაყვანისცემა და ხარება, რომელშიაც გამოხატულია თეთრ სამოსლიანი ანგელოზი უკანასკნელის შესახებ მოგზაური მურავიოვი ამბობს: „ანგელოზის მხატვრული გამოხატულება მეტად შესანიშნავია თავის სიმშვენიერით, იგი ღირსია თანამედროვე მხატვართა მიბაძვისაო“

დასავლეთით გამოხატულია სამი ხიდი წმიდა მამათა სამოთხის ხეებში. ამავე მხარეზე, მიწიდან ოთხი არშინის სიმაღლეზე, დაცულია მეტად მნიშვნელოვანი თარიღიანი წარწერა, რომლის ტექსტი წაკითხული და გამოცემული აქვთ თავიანთ ნაშრომებში მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძეს და უკანასკნელ ხანებში ივ ჯავახიშვილს. მაგრამ თითეულ მათგანს თავისებურად და განსხვავებულად აქვთ წაკითხული, ჩვენ მოვიყვანთ აქ ივ. ჯავახიშვილის მიერ წაკითხულ წარწერის ტექსტს, რომელიც დასურათებულია მრავალი ისტორიული საბუთებით:

1) თთოვესა აგოვსტოსსა ე-სა: დღესა შაბათსა:
1) ქორონიკონსა ო^გსა ისმაიტელთა (?) წელსა ს^ლთსა:
3) ქალაქი ტფილისი დანოვა ბოვღა: და შეიპყრა.
4) ამირაჲ საჰაკ და მოვიდა: და მასვე თთოვესა.
5) აგოვსტოსსა ვ^სა დღესა შაბათსავე ზირაქ.
6) შეიპყრა კახაჲ და ძᲡ მისი თარკოვჯი.

ატენის სიონის ზოგად აღწერილობის შემდეგ, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, თუ რომელ საუკუნეშია იგი აშენებული და ვის მიერ. ამ

საკითხის გამოკვლევას ეხება დ. ბაქრაძე და ემყარება 853 წ. წარწერას. და ატენის სიონის აშენებას ივი მიაკუთვნებს VII—საუკ. მცხეთის ჯვრის ეკლესიასთან ერთად. თავის საქართველოს ისტორიაში გვ. 218—219, ბაქრაძე ამბობს: „ატენის სიონის ეკლესია თავისი სახუროთმოძღვრო და საქანდაკო სტილით, გუმბათის მოყვანილობა და თვით გეგმა მოგვაგონებენ ჯვრის მონასტერსა მცხეთის პირის-პირს და იმ დროსა, რომელსაც ეს უკანასკ ნელი ეკუთვნის, ესე იგი მე VII-საუკ.“ დიბუას ჰგონია, რომ ტაძარი აშენებულია ბაგრატ II გარდაცვალების წელიწადს და ამყარებს თავის მოსაზრებას ან არ არსებულ ბერძნულ წარწერაზე ე. ი. 993 წ. ამავე აზრს იმეორებს მურავიოვიც. მარი ბროსე ემყარება ეკლესიის სამხრეთ წარწერაზე, სადაც' მოხსენებულია მეფე ბაგრატი და ამბობს, რომ ატენის სიონი აშენებულია ბაგრატ IV. (1027—1072) და მისი შვილის გიორგი II მიერო (1072—1087). ამავე საკითხს უფრო ვრცლად ეხება ივ. ჯავახიშვილი ჟურალ „Христіаоскій Востокъ-ში, ტომი 5 გვ. 277—297. გამოცემა 1912 წ. რომლის აზრით ატენის სიონი პირველად ბაზილიკა უნდა ყოფილიყო, შემდეგში უგვიანეს 853 წლ. ის გადაუკეთებიათ სიონად ე. ი. ჯვრის გეგმაზე, რასაც ნათლად ამტკიცებს გუმბათის მოყვანილობაო. თვით აღმშენებლის ქანდაკებაც ამტკიცებს ამ დებულებას, მას უჭირავს ხელში ეკლესიის გეგმა, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ ის თავდაპირველად ბაზილიკა ყოფილაო“. თუ როდის, ან ვინ გაადაკეთა იგი ჯვრის გეგმაზე ჯერ-ჯერობით ამის თქვმა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, მეტად ძნელია. საერთოდ კი, საკითხი ატენის სიონის აშენებისა შეუძლებელია გადასწყდეს პალეოგრაფიულ წარწერათა დამყარებითო და ამიტომ ჯერ-ჯერობით ღიად უნდა დარჩესო. სომხური წარწერის მიხედვით ეკლესიის აღმაშენებელი ვიღაც თოდესი სომეხი ყოფილა, მაგრამ ამის თქმა დანამდვილებით ძნელია, რადგანაც ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მოხსენებული პირი პირველი აღმშენებელი იყო ტაძრისა, თუ მისი გადამკეთებელი. დიბუა ემყარება სომხურ წარწერას და თვით ტაძრის გეგმას და ამბობს: „რომ გეგმა ატენის ტაძრისა სომეხ არქიტექტორს აღებული აქვს ეჩმიაძინის წმიდა რიფსიმეს ეკლესიიდანო, ამგვარ ტიპის ეკლესიები ბევრია საქართველო და სომხეთშიო, ატენის სიონის გუმბათი წმიდად სომხურიაო“. კონდაკოვის გამოკვლევით კი, ატენის სიონი ბიზანტური ტიპისაა. ქართულ ტაძრებს გეგმისა და სტილის მხრივ იგი ჰყოფს მათ ოთხ პერიოდად. პირველ პერიოდს ის უწოდებს ბიზანტიურს და ამ ხანას აკუთვნებს: ატენის სიონს, ჯვრის მოანასტერს და წმიდა რიფსიმესი ეკარშაპატში. კონდაკოვი, თავის ნაშრომში „Древная архитектура Грузіи“-ში ამბობს: „სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს ძველ გამოქანდაკებულ ხატებს ატენისა და ჯვრის ეკლესიის კედლებზე, რომელნიც თავიანთ შინაარსით და მოყვაყილობით ბიზანტიური წარმოშობისაა, გმნსაკუთრებით შესანიშნავია ატენის სიონი, რომლის ზოგი ქანდაკებანი უფრო ძველია თვით ტაძარზე, ზოგი კი მისი თანამედროვეო“.

როგორც ხედავთ, ატენის სიონის აშენების თარიღის და გეგმის გამოკვლევაში სწავლულთა შორის არსებობს აზრთა სხვა და სხვაობა.

საკითხის საბოლოოდ გადაჭრა შეიძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მეცნიერულად შესწავლილი იქნება საერთოდ როგორც ქართული პალეოგრაფიული წარწერათა ხასიათი, ისე ხუროთმოძღვრების და ხელოვნების განვითარების ისტორია ძველს საქართველოში.

ს. მაკალათია.

22 თებერვალი, 1920 წ.

ცოცხალი თაიგული

აქ გაზაფხულმა შემოიხედა
და ყვაილებმა ასტეხეს სთველი;
წყალ-სავსე თასი მოვიდგი მეცა
და ბაღებიდან თაიგულს ველი!

ეს მერამდენე გაზაფხულია
ჩემს ცხოვრებაში? მე აღარ ვიცი!
გადამეკიდა ვაი-ვაგლახი,
თან დამდევს როგორც ძმად განაფიცი.

აღარ მჭირდება მე თაიგული,
აღარ მჭირდება მე ყვაილები;
დამავიწყდება ვაი-ვაგლახი,
თუ ატიტინდნენ ჩემი შვილები...

დედა ჩჩვილს ჰკოცნის, სუნნელით სტკბება
ცოცხალ თაიგულს რა შეედრება?!

ბაბილინა.

მგზავრი.

ვით ასული თვალ-ჟუჟუნა, ნაზი ხუჭუჭ თმიანი,
იკაზმება საზეიმოთ მთები ტევრი ტყიანი.
გაზაფხულის სადღეგრძელოს ნამით სავსე თასებით
სვამენ ლოთი ყვავილების ვნებიანი დასები.

—

აქ, ბუნების ლაღ ზეიმზე, დაღვრემილი, მდუმარი,
გამოველი მე შემთხვევით მგზავრი, უცხო სტუმარი.
და გავყურებ დაფიქრებით დაბლა ველებს, მაღლა მთებს,
მაგრამ... ღმერთო! ვინ ჩასწვდება ბუნების ღრმა ლეგენდებს.

—

და მივდივარ მე ჩემს გზაზე, ყვავილნიც მიმყვებიან,
მთები თვისი ლეგენდებით ისევ იქა რჩებიან...
და მივდივარ მე აქედან ჩემის თანამგზავრებით,
თუმც არ ვიცი აქ რად მოველ, ან სად მივემგზავრები.

ლრუბელა.

ღელვა

ზღვა ფორიაქობს, ზვირთთ მდევები იქოჩრებიან,
იმუქრებიან აღტყენილი, მხრებ ალეწილი,
ფაფარ აყრილნი ნაპირებთან ინარცხებიან,
უცებ ჰქრებიან... ისმის გრგვინვა, გიჟი სიცილი!...

ზღვა ადის, ჩადის ანათრთოლი, ბორგავს, ირხევა,
ამოიხევა აქ-იქ ტალღა, წამოზვირთდება,
ყალყზე შესდგება, ხუჭუჭდება, თეთრად ირღვევა,—
—უხვად იქცევა თეთრი სისხლი—ზვირთი რო კვდება.

კლდე-ნაპირებთან ღრიალია, გმინვა, გრიალი,
ზღვა გიჟი, მთვრალი ზვირთთ ყუმბარებს სტყორცნის ნაპირებს,
წარღვნას უპირებს, მაგრამ უცებ ერთმევა ძალი—
—ტალღათ ფართხალი ნაპირებთან კენჭებს ატირებს...

ზვირთები ისევ მძიმე გორვით იგრაგნებიან,
უცებ სდგებიან და მოჭქრიან სრბოლით მსუბუქად,
შორით მსუბუქად მონაქროლი უცებ სკდებიან—
—წყლის თეთრი მტვერი გაეკვრება ნაპირს ბუქ-ბუქად...

კვდება ზვირთები—თეთრი სისხლი სდით მსუბუქ ქაფად,
მაგრამ მარქაფად ირაზმება კვლავ სხვა ზვირთები,
ეინ ანანთები ნაპირისკენ მოჭქრიან სწრაფად.—
—არ-რა უჩნთ ჯაფად, ოღონდ შესძრან კლდე-ნაპირები!...

ი. სიხარულიძე

ᲙᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲓᲐᲛᲘ

მე ხშირად ვეტრფი ჰაეროვანს, ოცნებით ნახულს.
ეს მაცდურ ტანის ახელებით ყველას აჭარბებს.
საღამოობით ვით მეძავი იღებავს წარბებს
და ცისფერ კაბით იმოსება ყოველ გაზაფხულს.

ქრელი თვალების ელვარებას, მზერა გამახულს
უიღბლო ყოფნით მწარე ბედი ხშირად მახარბებს,—
მაგრამ საყვედურს ჩემ ქალბატონს გული ვით ჰკადრებს,—
ვგავარ ცოდვილ ბერს განაწამებს, დიდი ხნით მარხულს.

როცა ღამდება—შემოიცვლის კაფეებს... ქუჩებს.
კეკლუცობს ნაზი, თან ცბიერად ყველს მოიღერებს,
ჭარვის თითებით ათამაშებს ზამბახის ღერებს

და მკრთალი ღიმით ოდნავ აპობს ხავერდის ტუჩებს.
ახ, რო მწყალობდეს ნისი ეშხი და სიძვირფასე—
არ ვიქნებოდი მე ბედისგან დასჯილი ასე!..

ვ. გორგაძე.

„არ-ესა“

სიზმრის სარკეში დავინახე უცხო ქალაქი,
უსიერი მთის ერთ კალთაზედ გაშენებული.
ეზოებს ირგვლივ უფარავდა მწვანე ბალახი,
მხიბლავ არშიად ევლო ბაღი გამშვენებული.

იქ მთის ჰაერი იყო ისე ხალვათი, ლაღი...
და ზესკნელიდან ოქროს ფარრთ გაბრწყინვებული
გადმოჰყურებდა სიყვარულით ფირუზის თაღი—
რომ ყოველივე იყო ეშხით გარინდებული!..

მაშინ ყრმა ვიყავ. თვალში მეცა მისი სხვაობა.
ვკითხე მის მცხოვრებს, სიზმარეულს, მონარნარესა:
„კაცს აქაც ელის სიკვდილი და არარაობა“?..
მან მიპასუხა: „ამ ჩვენ ქალაქს ჰქვიან „არ-ესა“,

და შენს ნათქვამზე შორეული მხოლოდ გვაქვს ცნობა:
აქ ბევრიც სძებნო, ვერვის ნახავ მგლოვიარესა!“...
გამომეღვიძა... მაგრამ ჩემი ფიქრი და გრძნობა
დღესაც თავს დაჰტრფის ერთხელ სიზმრად ნახულ არესა!

ს. აბულაძე.

2

(ეტიუდი)

რა მშვენიერი ღამეა!

მთვარე მწუხარედ ანათებს. იგი მიცვალებულის სახესავით არის ჩასვენებული თეთრ იასამნის ღრუბლებში და ცივი, სასიკვდილო ღიმილით სწამლავს ყოველივეს.

ქვის მრავალ სართულიანი სახლები ცივად ინაკვთებიან ღამის ფონზე. ქალაქი ქვის უზარმაზარ გულჩათხრობილ აკლდამასა ჰგავს, სადაც ეს უძრავი სახლები პაპიროსის ყუთებივით უწესრიგოთ ჩაუყრიათ და თეთრ კუბოებს მიემსგავსებიან.

შორს ხანდასმით მატარებლის ცივი კვიცილით ისერება ჰაერი. ელექტრონები სისხლნაკლებ სინათლით ციალებენ და ქალაქის ხმაურობა ყრუდ და დამაფიქვრელად მოისმის.

ყველას სძინავს.

მხოლოდ მე მღვიძავს და ვწოვ შუაღამის შავგვრემან შხამიან ძუძუს.

იქვე ვვერდით მიცვალებული მამამა მისვენია...

წინ კი სახელმწიფო გამოცდები ვალად... წარსულში და აწმყოში

სტუდენტური შავი დღეები და სასოწარკვეთილება. მშიერ კუჭზე სანსუსის პრინცესებზე ოცნება და გედებით მოლივლივე ტბაზე ფიქრი... და ეხლა ეს უკანასკნელი მძიმე დაკვრაც და ჭქრება ყოველივე.

„იყავი კლდესავით, შვილო, და გახსოვდეს სამშობლო მსხვერპლს მოითხოვსო!..“ —მწერდი, ძვირფასო მამავ, იქ, იმ ცივსა და ნესტიან ქვეყანაში და, რა ვიცოდი, ეს მსხვერპლი თუ შენ იქნებოდი...

კოშკის საათმა ორი დაჭკრა...

ცოტა აცივდა კიდეც...

იმ ოთახში, საცა მამა ასვენია, წმინდა სანთელი პეპელას ფრფასავით ფართქალობს და მიცვალებულის ქაღარა წვერებს ხან გაანათებს და ხან მიაბნელებს და ამ სინათლის თამაშზე თითქმის მისი საუკუნოდ გაციებული ბაგეები რაღაც იდუმალს, უკვდავსა და საშინელს ამ ცივი უკვდავებით ჩურჩულობსო.

ღამე კი ისევ ისეთია, როგორიც მის სიცოცხლის დროს იყო. ოო, მამა, რამდენს სწყევლიდი ამ გრძელ შარა ღამეებს, რომელნიც შენ ავადმყოფობის დროს გულს გიღონებდა. რა დიდ ტანჯვა-წამების ხარჯზე ისვენებს თურმე ამ ბნელ ღამეებში ხალხი!..

დღეს ჩვენთან ნათესაობა და მოკეთეობა მოვიდა. აქამდისინ ეს ხალხი შენს მორჩენაზე ჰფიქრობდა და ეხლა კი შენს გასვენებაზე სწუხს.

აქ არის ყველა, მოხუცმა დუდამ მთელი დღის წუწუნითა და ფუსფუსით, ჩამქკნარ ხილივით მოღლილ თვალებით მიიძინა, აქ არის ლენაც, ის ლენა, მამაჩემო, შენ რომ მეხუმრებოდი ხოლმე, ისიც აქ არის...

. . . . . .

უეცრად იმ ოთახიდან, სადაც ქალები იწვნენ, ვიღაც გამოვიდა, გამოვიდა, ნახევრად შიშველი, გრძელი კულულები უკან გადუყრია და მოდის ფრთხილად, ფეხშიშველი, ლამაზ ფეხებით.

ლენა!.. ნუ თუ შენა ხარ, ლენა, აქ რა გინდა!..

— ვახტანგ!.. გძინავთ?—მეკითხება იგი წყნარად.

— არა, ლენა, მაგრამ აქ რა გინდა, მერე ასე... გაცივდებით!..

— მე მეშინია, ვახტანგ, მეშინია!..—ამბობს ქალი ცახცახით და ჩემს ლოგინზე ჩამოჯდა.

მთვარე კი გვანათებს ორივეს აივანში წყნარად, და გესლიანად ილიმება, მისით განათებული ქალი ტურფა ალსა ჰგავს წყლიდან ამოსულს და ფლატეზე ჩამომჯდარს.

— რამ შეგაშინათ?.. ნუ თუ ასე მხდალი ხართ?..—შეეკითხე მე და სხეულში რაღაც ტკბილმა და გაუგებარმა ჟრუანტელმა დამიარა, მაგრამ სინიდისმა თავი წამოჰყო და გავჩუმდი.

— არა, მაგრამ მაინც, ისე!..—მომიგო მან და მკლავები ღვთის

უკვე ყველაფერი მპვიწყდებოდა, ის დარდი და კაეშანი სადღაც უკანა რიგში ჩადგა...

— ოჰ, ლენა, რომ იცოდეთ, რომ იცოდეთ!.. — დავიძახე მე რაღაც მტანჯველი, მოზღვავებულ ენინან ბოლმით და თვითონაც არ ვიცოდი, თუ რა უნდა სცოდნოდა ლენას...

— ჰო, რა იყო, რა დაგემართა ჩემო!.. — წამჩურჩულა მან რაღაცა სიტკბოთი და ჩემთან დაიხარა, მე მეტი ველარ ავიტანე და შევცურდით სადღაც, სადღაც...

—

მეორე დღეს კი მე და ლენა სხვებთან ერთად კუბოს მივყვებოდით..

დემნა შენგელაია.

ქუთ. სამხ. ჰოსპიტალი, ბარაკი მე-7.
1917 წ. ენკენისთვის ღამე.

ვერ დავიმონებ!..

შენს წიაღში განვლე ჩემი სიყმაწვილის დღენი. — შენ შემოგცქეროდი მუდამ ეამს თუ რას მომცემდი, თუ რით აღაგებდი მშვენიერების და აღმაფრენის ტაძარს ჩემს ცხოვრებაში. მეც შენთან ერთად ვშრომობდი, რომ აღგვენთო გამუდმებული კოკონი და მსხვერპლად შეგვწირა საკაცობრიო ბრწყინვალე მომავლისთვის ჩვენი მტანჯველი, ჩვენი დამმონებელი... — ჩვენ გადაველახეთ გზა ეკლიანი, გზა გაუვალი... ჩვენ დავამსხვრიეთ ძლიერთა კერპი, სიმბოლო დამცირება-დაჩლუნგებისა, ფეტიში ბნელით მოცულ გარემოსი. ჩვენ გავედით გზა სამშიდობოს და ვფიქრობდით გამარჯვებით დღესასწაულის დაგვირგვინებას... მაგრამ, ბურუსმა გადააფარა თვისი მანდილი განაწამებ დღეთა... გაქრა ჩვენს შორის იმედი სანეტარო ცხოვრებისა... გაითხარა უფსკრული და ჩაესვენა შიგ ჩემი იმედი. დიახ, ამის მესაფლავეედ შენ გახდი, შენ უგალობე სულთათანა ჩვენს მოშავალ ბედნიერებას...

უკანასკნელი გზა ჩვენი მსვლელობისა შენ დამისახე ტანჯვის ხანად... ჰოი, ბორბტო, ვსცანი შენი გულის ზრახვანი და განვეშორე ბჟეთა შენი მეფობისასა. — მას შემდეგ ვიგრძენ მოსვენება... და ხომ გაიგე, რომ აღარ გებრძვი?!.. შენ არა ფიქრობდი თავიდან ერთად გვეცხოვრა ტკბილად და თუ ვისიმე მახვილი ჩვენი არსებობის წინააღმდეგ აპრიალდებოდა, ჩვენი კავშირი მათ შიშის ზარს დასცემდა!.. მაგრამ შენ არ ინდომე ყველა ესენი, შენ გადასწყვიტე, რომ კვლავ ბორკილთა რაჰხუს ვერ გაეშორებულიყავ. მაგრამ მოგშორდი... ეხლა რა გინდა, მტარვალო! განა ვერ დასტკბი შენ მოძმეთა მუდმივი ტანჯვით? განა ვერ ძღები უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლის ნაკადით? დიახ, ვერ დასტკბი... შენს გაუმაძღრობას არ ეყო შენს თვალთმაქცსამეფოში ბედ-შავთა და უდანაშაულოთა დანთხეული სისხლი, და

აჭა. შენს მურტალ ხელს ჩემსკენ იშვერ, რომ შეარხიო ჩემი სულის სიმშვიდე; შენ მომართე გესლიანი მახვილი ჩემს პატარა, მაგრამ ედემის მსგავს ბაღისაკენ, რომ ისიც მისცე აგუზგუზებულ ცეცხლის ალს, მით გამიგმირო გული და გლოვის ზეწარი ჩამოვაფარო ჩემს საამურ სიცოცხლის დღეებს...

ნუ, ნუ ფიქრობ მაგას... ხელი აიღე ჩემს სამეფოზე...

ნუ თუ გგონია აგრე ადვილი ჩემი უფსკრულში კვლავ გადასროლა?!..

შენი მუქარა მე ვერ მაშინებს... თუ მოიქცევი, მზათავარ გამოგიწოდო ძმური კავშირის ხელი, და თუ არ შესცვლი ბოროტ განზრახვებს, მეც ძალა შემწევს. ტყვილად ფიქრობ კვლავ დამიმონო.

და თუ, მტარვალო სულო ბოროტო, ჩემსკენ თავხედათ გადმოიხედავ; მზათ დაგიხვთები, რომ შენი მიზანი შენივე მახვილით გავანაცარმტვერო...

მაშ, გამიგონე, ვერ დამიმონებ!

ლია.

თბილისი, 7 მაისი.

ზავი საბჭოთა რუსეთთან

საქართველოს დემოკრატიამ სულ მოკლე ხანში ორი უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ: ერთია ანტანტის სახელმწიფოების მიერ „de facto"-თ საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთ აღიარება, მეორეა საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრა და რუსეთის მიერ საქართველოს „de facto"-თ და „de jure"-თ დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარება და საქართველოს სუვერენული უფლების ცნობა ქ. ბათუმზე და მის ოლქზე. თავისთავად ცხადია, რომ ორივე ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი ჩვენი დემოკრატიის ცხოვრებაში მჭიდროთ დაკავშირებულია იმ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მუშაობასთან, რომელსაც თავიდანვე აწარმოებდა ჩვენი დემოკრატია და მისი ერთად ერთი ხელმძღვანელი პარტია—საქართველოს ს.-დემოკრატია.

ჩვენდა საბედნიეროთ, ქართველ დემოკრატიის ცნობიერებაში ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცდა ის აზრი, რომ მტერს მტრულად უნდა დახვედრა და მოყვარეს მოყვრულად; ქართველმა დემოკრატიამ კარგათ იცის თუ რა დიდ საგანძურს წარმოადგენს მისი კეთილდღეობისთვის მოპოვებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა-განმტკიცება, ამიტომაც არის ის მკაცრი და ულმობელი ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც კი ამ საგანძურის მისი ხელიდან გამოგლეჯას შეეცდება და, პირიქით თავაზიანია და უაღრესათ ჯენტლმენი ყველა იმათთან, ვინც მას მეგობრულად ხელს გამოუწვდის და მასთან კეთილ-მეზობლური ურთიერთობის დამყარებას მოიწადინებს. ასეთია ბუნებრივი გზა ყველა ჭეშმარიტი დემოკრატიისა, ეს—ასე ვთქვათ—მისი შინაბუნე-

ბის სრული განხორციელებაა. ეს დიადი საკაცობრიო მცნება ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში უანდერმა ქართველ ხალხს მისი სულის საუკეთესო მესაიდუმლე სულმნათმა შოთამ: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანია“.

ეს ორი დიდი მონაპოვარი ბევრ რასმეს გვეუბნება ჩვენი დემოკრატიის დღევანდელ საუმჯობესო მდგომარეობაზე და მისი ბრწყინვალე მერმისის რამდენათმე გათვალისწინებაზე. მართლაც და, ყველასთვის ცხადია ის ფაქტი, რომ ანტანტის სახელმწიფოებმა მხოლოდ მაშინ სცნო ჩვენი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოს სუვერენობა, როდესაც სავსებით დარწმუნდა ჩვენი დემოკრატიის სრულ ძლიერებაში და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში. ამავე გარემოებით აიხსნება რუსეთის სახელმწიფოსთან ზავის შეკვრა: ქართველი დემოკრატიის ერთსულოვანმა სამხედრო სამზადისმა და მტკიცე ნების ყოფამ ქვეყნის თავდაცვის საქმეში, ეჭვი არ არის, აიძულა საბჭოთა რუსეთი ხელი აეღო საქართველოს ძალით შემოერთების ზრახვებზე და ეცნო მისი დამოუკიდებლობა და სუვერენული უფლება. ამგვარათ, ეს ორი ფრიად მნიშვნელოვანი მონაპოვარი უშუალო შედეგია ჩვენი დემოკრატიის თვითმოქმედებისა და მწყობრი ორგანიზაციული მუშაობისა. სხვა დანარჩენ პირობებში ჩვენ ვერც ერთ ამ დიდ ნაბიჯს ვერ გადავდგამდით, და თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით ეს კითხვები ჩვეულებრივ ისე გადაიჭრებოდა, როგორც ეს საზოგადოთ მიღებულია და ჩვეული, სახელდობრ-ჩვენ ჩავვარდებოდით უცხო სახელმწიფოს ოპეკაში. ტყუილ უბრალოდ როდი ამბობდა ცნობილი სოციალისტი ლასალი: ნამდვილი უფლების განმტკიცება ეს მხოლოდ რეალური ძალის სრული გამოხატულებაო.

ეს ორი დიდი გამარჯვება იმავე დროს მიუცილებელი პირობაა ქართველ დემოკრატიის სოციალური, პოლიტიკური და ინტელექტუალური განვითარებისა. ყოველგვარ მაქსიმალ მოთხოვნილების გარეშე ძდგომი და თავის მოქმედებაში დროსა და პირობებზე შეწყობილი, ქართველი დემოკრატია სულ მალე შესძლებს ეზიაროს ევროპის მაღალი კულტურის ყველა ღირებულებებს და ამგვარათ ევროპის მუშათა კლასთან ერთად ხელი-ხელ-ჩაკიდებული გასწიოს თავის საბოლოოო მიზნის მისაღწევათ—სოციალიზმის დასამყარებლათ.

ა. კ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

101
~~1-30~~
301/77
10-

ფასი 25 ქან.